უკრაინა საშემოდგომო დესტაბილიზაციის მოლოდინში A3

ლუკაშენკომ პუტინს ლენინი და სტალინი ამჯობინა A3

ძმებმა ესროლეს, პოლიციელებმა კი – სცემეს B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 23 აგვისტო 2002 წელი. №82

ფასი 50 თეთრი

## ჩვეულებრივი კრიმინალი თუ კრიზისი სამშვიდობო ძალებში

კობა ლიკლიკაძე,
რადიო "თავისუფლება",
სპეციალურად "24 საათისთვის"

*მეგობარი სახელმწიფოების მიერ ყველაზე კრიტიკულ მომენტში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი სამხედრო და ფინანსური დახმარების მიუხედავად, საქართველოში "ცხელი წერტილების" რაოდენობა დღითიდღე იზრდება. პანკისისა და კოდორის ხეობის პარალელურად, კვირის ბოლოს უკიდურესად გამწვავდა ვითარება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სადაც დაუდგენელმა პირებმა, 16 აგვისტოს, ქართული სამშვიდობო ბატალიონის ოფიცერი, ვიცე-პოლკოვნიკი ზურაბ დურგლიშვილი გაიტაცეს. აღსანიშნავია, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტისგან განსხვავებით, ათწლიანი სამხედრო-სამშვიდობო ოპერაცია ცხინვალის ზონაში იმდენად აუმღვრევლად მიედინებოდა, რომ ოფიციოზი მომხდარ დანაშაულში გადაჭრით გამორიცხავს პოლიტიკურ მოტივებს. თუმცა, არც იმის გაუთვალისწინებლობა შეიძლება, რომ ბოლო დროს ცხინვალის სამშვიდობო პროცესში გარკვეულმა კრიზისმაც იჩინა თავი.*

ვიცე-პოლკოვნიკ ზურაბ დურგლიშვილის გატაცება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავს. გატაცებულ ოფიცერს, რომელსაც ოსი ეროვნების მეუღლე ჰყავს, კარგად იცნობდნენ თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სამთავრობო წრეებში, რის გამოც, დურგლიშვილის გატაცება შურისძიების მოტივით, იმთავითვე გამოირიცხა და უპირატესობა ფულის გამოძალვის ვერსიას მიენიჭა.

აღსანიშნავია, რომ ცხინვალის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ათი წლის განმავლობაში, სამმხრივ რუსულ-ქართულ-ოსური ბატალიონის წევრებსა და მოსახლეობას შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდა. შეიძლება, პარადოქსულადაც ჟღერდეს, მაგრამ დაპირისპირება ყოფით ნიადაგზე უფრო ხშირად ქართული სამშვიდობო ბატალიონის შიგნით ხდებოდა, ვიდრე მოკონფლიქტე მხარის წარმომადგენლებთან.

დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია 1994 წელს, როცა ჯავშანტრანსპორტიორის აფეთქების შედეგად, ქართულმა სამშვიდობო ბატალიონმა სამი სამხედრო მოსამსახურე დაკარგა. 1997 წელს კი ბატალიონის მეთაური, პოლკოვნიკი დავით ცხვედაძე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით საკუთარ კაბინეტში მოკლეს.

გაგრძელება A2 გვერდზე



რუსეთი სამშვიდობო ძალებს დესტაბილიზაციისათვის იყენებს

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## მოსკოვის სამხედრო მანქანა ამოქმედდა

*რუსეთის ინფორმაციის მასობრივი საშუალებები მოსახლეობას საქართველოსთან ომისათვის ამზადებენ. ნათელია, რომ პანკისის ხეობა აქ მხოლოდ საბაბია. მთავარი ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების შენარჩუნებაა.*

**"საერთაშორისო თანამეგობრობამ ახლახან გაანადგურა ტერორისტების ბუდე ავღანეთში, მაგრამ, ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს საქართველო, სადაც ტერორისტების ასეთივე ბუდე იქმნება,"** - ასეთი განცხადება გააკეთა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა და მეორე დღესვე სამხრეთ კავკასიაში ჯარების დასათვალიერებლად გაემგზავრა, რუსი ჯარისკაცების მაღალი საბრძოლო სულისკვეთების მეზობლებისთვის საჩვენებლად.

ივნისის დასასრულს მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობა უკიდურესობამდე გამწვავდა; მიზეზი - იტუმ-ყალესთან ახლოს, ჩეჩნეთის ერთ-ერთი მთიანი რეგიონის სამხედრო პუნქტზე ბოევიკების

გაგრძელება A2 გვერდზე

## მაჭავარიანი მოლაშვილს ცილისწამებაში ადანაშაულებს

სოფო კვინტრაძე

გამოხმაურებები კონტროლის პალატის თავმჯდომარის სკანდალურ გამოსვლაზე გრძელდება. ამჯერად სულხან მოლაშვილის ბრალდებებს "გაერთიანებული დემოკრატი" მიხეილ მაჭავარიანი ეხმაურება. **"მე პასუხს ვაგებინებ ყველა ცრუპენტელას, ბოლოს და ბოლოს, ამ ქვეყანაში ყველამ უნდა გაიგოს, ვინ არის მტყუან-მართალი,"** – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საგადასახადო შემოსავლების ყოფილმა მინისტრმა მიხეილ მაჭავარიანმა, რომელსაც ოთხშაბათის მთავრობის სხდომაზე სულხან მოლაშვილმა სერიოზული ბრალდება წაუყენა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ხაბაზთა "სოლიდარობა" დაბეგვრის ძველ რეჟიმს ითხოვს

გიორგი კალანდაძე

"ნაციონალური მოძრაობისა" და პურის მცირე საცხობების მფლობელთა გაერთიანება "სოლიდარობის" აქტივისტთა გუშინდელი შეხვედრა ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელთან, ზუსტად 15 წუთში, ამ უკანასკნელის მოულოდნელი წასვლით დასრულდა. **"მე არაერთხელ გითხარით, რომ ფინანსთა სამინისტრო მზადაა, პურის ბიზნესის დაბეგვრასთან დაკავშირებით მუშა შეხვედრები გამართოს, რომელსაც ჟურნალისტები არ დაესწრებიან. ასეთი სერიოზული საკითხების გადაწყვეტა პრესკონფერენციებზე არ ხდება",** - აღნიშნა წასვლის წინ ლევან ჩრდილელმა. თუმცა, მის წასვლამდე მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ბესო ჯუღელმა ფინანსთა სამინისტრო ცალკეულ პოლიტიკურ ძალებთან გარიგებაში დაადანაშაულა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## კრიმინალის თბილისში მოდად ქცეული სახეობა

ინგა ალავიძე

*თბილისის კრიმინალურ ცხოვრებას თბილისის შერიფის მოადგილე, დავით კეკუა დამძიმებულად სულაც არ მიიჩნევს და ყოველდღიურად თუ არა, დღეგამოშვებით მაინც მომხდარი მძიმე დანაშაულობების მიზეზად შეულამაზებელ სტატისტიკას ასახელებს.*

**"კრიმინალური სიტუაცია ბოლო პერიოდში ნამდვილად არ გართულებულა. უბრალოდ, სტატისტიკა აღარ ლამაზდება, მომხდარი აღარ იმალება, ამის ბრალია, რომ დანაშაული ჩანს. თუმცა, ფაქტობრივად, ყველა სერიოზული დანაშაული გახსნილია ან გახსნის პროცესშია, მაგრამ ხდება, რომ საქმეთა გახსნა დროში იწელება. ამას დასავლეთის კანონდამცველებიც ვერ უმკლავდებიან. შემიძლია, ჩამოგითვალოთ უამრავი ბანდიტური დაჯგუფება, უმძიმესი დანაშაულობებისთვის ძებნილები, რომლებიც დავაკავეთ,"** - ასეთი აზრისაა თბილისის კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელი დავით კეკუა და თავისი განცხადების გასამყარებლად შსს-ს საინფორმაციო ცენტრის მიერ შედგენილ სტატისტიკას იშველიებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## პურის ბიზნესს წყალი შეუდგა

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს პარლამენტის მიერ "წარმოებაში გაშვებული" მრავალი კანონი ძალზე უხარისხო და არაეფექტურია. ისინი ლამის მიღებისთანავე საჭიროებენ გადასინჯვასა და შესწორებების შეტანას. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ორიოდე თვის წინათ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული საგადასახადო ცვლილებები, რომელიც პურის საცხობების დაბეგვრის რეჟიმს შეეხება. ეს საკანონმდებლო აქტი, ფაქტობრივად, მკვდრადშობილი აღმოჩნდა, რადგან მისი ამოქმედება პურპროდუქტების ბიზნესით დაკავებულ მცირე საწარმოთა მფლობელებს გარდაუვალ გაკოტრებას უქადის და ამდენად, სასწრაფო გადაკეთებას მოითხოვს.

**"კანონი აბსურდული და კაბალურია. ახალ რეჟიმზე გადასვლა ნიშნავს, რომ ქუდი უნდა დავიხუროთ და პურის ბიზნესიდან წავიდეთ. ამას კი პურპროდუქტის, მინიმუმ, 50 პროცენტით გაძვირება მოჰყვება",** - აცხადებენ უკმაყოფილო "მეპურეები". ამასთან, "გაერთიანებული დემოკრატების" ვაშლიჯვრის ოფისში გუშინ მისული მეწარმეები ერთხმად ირწმუნებოდნენ, რომ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები ვერც ფქვილის კონტრაბანდას აღმოფხვრის.

**"სახელმწიფო ორგანიზაციაში რომ მიხვიდე, ფქვილს ანგარიშფაქტურით მაინც არ მოგყიდიან. თუ მოგყიდიან - 40 პროცენტი მაინც უნდა დაუტოვო. კონტრაბანდასთან ბრძოლა თუ უნდათ, შექმნან ცენტრალიზებული ბაზა და საქონლის იქ შეძენა სავალდებულო გახადონ. მაგრამ ხელისუფლებას ამის თავიც არა აქვს. ამ შემთხვევაში დაახლოებით იგივე ხდება, რაც სიგარეტის კონტრაბანდასთან ბრძოლის დროს, როდესაც 5-10 კოლოფის გამყიდველს სამართალში აძლევენ, დიდი პარტიების უკანონოდ შემომტანს კი ხმას არავინ სცემს,"** - აღშფოთებულნი არიან პურის მცირე საწარმოთა მფლობელები.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ავთანდილ ჟორბენაძე სექტემბრისთვის პარლამენტში დასაყრდენს იმზადებს

თამარ ხორბალაძე
სოფიკო ოხანაშვილი

*ერთ კვირაში მუშაობას იწყებს საქართველოს პარლამენტი.*

*საკანონმდებლო უწყებას ისევ დაეკისრება მთავარი პოლიტიკური არენის ფუნქცია.*

*მით უმეტეს, რომ პარლამენტს მომავალ წელს აქვს გადასაწყვეტი ტერიტორიული მოწყობის საკითხები, კონსტიტუციური ცვლილებებისა და სიტყვის თავისუფლების ბედი, აფხაზეთის სტატუსიც და ბევრი ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხი, რომელიც ზოგადად ქვეყნის ბედზე და კონკრეტულად გარკვეული პოლიტიკური ძალების საარჩევნო მომავალზე სერიოზულ გავლენას მოახდენს.*

*ამ სიტუაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, შეინარჩუნებს თუ არა პარლამენტზე გავლენას პრეზიდენტი და მოახერხებს თუ არა მთავრობა საკუთარი ინტერესების შესაბამისი კანონპროექტების ლობირებას.*

*ამ თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოა "მოქალაქეთა კავშირის" დღევანდელი ლიდერის, სახელმწიფო მინისტრის განცხადება, რომელიც მან 29 ივლისს, კანცელარიაში გამართულ "მოქალაქეთა" სათათბიროს სხდომაზე გააკეთა.*

*მას შემდეგ, რაც ავთანდილ ჯორბენაძემ პარტიას და პრეზიდენტს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ჩააბარა, განაცხადა, რომ მიმდინარეობს მუშაობა პარლამენტთან, როგორც ფრაქციებთან, ისე ცალკეულ დეპუტატებთან, რისი შედეგიც სასექტემბროდ პარლამენტში სერიოზული წარმომადგენლობის და ფაქტობრივი უმრავლესობის შეკრება იქნება.*

წარსული გამოცდილებიდან და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება დასახელდეს ის ფრაქციები, რომლებიც, სავარაუდოდ, ავთანდილ ჯორბენაძეს მომავალ საპარლამენტო პარტნიორებად ეგულება.

მათ შორის, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, უნდა დასახელდეს "მოქალაქური" ფრაქციები: "თანადგომა" (18 წევრი), "ალიანსი ახალი საქართველოსათვის" (18 წევრი) და "საქართველოს მოქალაქეთა კავშირი" (15 წევრი), რომელთაც ჯამში 51 დეპუტატი ჰყავთ.

ეს 51 დეპუტატი, რამდენიმე დამოუკიდებელთან ერთად, შეადგენს იმ "ბირთვის ბირთვს", რომლის იმედიც სახელმწიფო მინისტრს, როგორც პრეზიდენტის პარტიის ლიდერს, ყოველთვის შეიძლება ჰქონდეს.

ამ კონსულტაციებიდან ამთავითვე უნდა გამოირიცხონ "დემოკრატები", "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისთვის" და "ტრადიციონალიტები", ანუ დღეს მკვეთრად გამოხატული საპარლამენტო ოპოზიცია.

"აღორძინება" და "ერთიანი საქართველო", როგორც ასლან აბაშიძის საყრდენი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქცნენ პრეზიდენტისა და ჯორბენაძის საყრდენად, თუ ასლან აბაშიძის ინტერესებს ეს პირდაპირ დაემთხვევა. თუმცა, "აღორძინებისგან" სიურპრიზებს მთავრობა ყოველთვის უნდა ელოდეს. ამდენად, დროებითი გარიგებები გამორიცხული არ არის, მაგრამ იმ წარმომადგენლობაში, რომელზეც ჯორბენაძე საუბრობდა, ეს ფრაქციები ვერ ჩაეწერებიან.

გაგრძელება A2 გვერდზე

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | |
| ქუთაისი | 25 | |
| ბათუმი | 22 | |
| სოხუმი | 24 | |
| ფოთი | 23 | |
| თელავი | 27 | |
| ზუგდიდი | 24 | |
| გორი | 24 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1750 |
| ევრო | 2.1339 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3341 |
| რუბლი | 0.0692 |

## პეტრიაშვილს დასაყრდენი გამოეცალა

აკა ტონია

### დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო საკუთარ განაჩენს აუქმებს

მერაბ ჟორდანიას და დავით პეტრიაშვილს შორის დაპირისპირება უკვე კარგა ხანია FIFA-სა და საქართველოს კანონმდებლობას შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ სფფ-ს აღმასკომის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა და "საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირს" 24 აგვისტოს, სფფ-ს პრეზიდენტის არჩევნებზე ხუთივე საარჩევნო ხმა ჩამოართვა. გარდა ამისა სასამართლომ, სფფ-ს აღმასკომის მიერ გაუქმებული სამი საარჩევნო ხმა აღუდგინა ბავშვთა ფეხბურთის წარმომადგენლებს.



დავით პეტრიაშვილი (დგას) და ვაჟა ჩხაიძე (მარცხნივ)

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

უკანასკნელ დღემდე, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, დავით პეტრიაშვილის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა. 20 აგვისტოს, პრესკონფერენციაზე პეტრიაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ სფფ-ს პრეზიდენტის არჩევნები სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების მიხედვით უნდა ჩატარებულიყო.

როგორც გუშინ გახდა ცნობილი, პეტრიაშვილს არც სასამართლოს იმედი აღარ უნდა ჰქონდეს.

გაგრძელება B2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 ეკონომიკა A3 უცხოეთი A4 საზოგადოება A4 სამართალი

B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

**თბილისი.** გავრცელებული ინფორმაციით, გალის რაიონის სოფელ პრიმორსკში, რომელიც 12-კილომეტრიან უსაფრთხოების ზონაში შედის, აფხაზური და რუსული მძიმე ტექნიკის კონცენტრაცია შეინიშნება. ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე, სახელმწიფო დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი და უშიშროების სამინისტრო.

პრიმორსკში აფხაზური და რუსული მძიმე ტექნიკის თავმოყრის შესახებ არაფერი იცის სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის მეთაურმა კლიმენტი თევზაძემ. მისი თქმით, ამის შესახებ საუბარი არ ყოფილა ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე. კლიმენტი თევზაძე ვარაუდობს, რომ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება გაუგებრობამ გამოიწვია;

**"ოთხშაბათობით, როგორც წესი, რუსი მშვიდობისმყოფელები გალის რაიონის სოფელ პრიმორსკის მახლობლად მდებარე პოლიგონზე ატარებენ გეგმურ სასროლო სწავლებებს. გუშინ სწორედ ამ მიზნით შეიყვანეს მძიმე ტექნიკის საკმაოდ სოლიდური ნაწილი. ეს ტექნიკა გუშინვე დაუბრუნდა დისლოკაციის ადგილს",** — განაცხადა კლიმენტი თევზაძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**პანკისი.** ახმეტის რაიონის საავადმყოფოს მთავარი ექიმი თამაზ თავზაძე აცხადებს, რომ საავადმყოფო პაციენტთა მისაღებად სრულ მზადყოფნაშია. მისი თქმით, საავადმყოფო უზრუნველყოფილია ყველა საჭირო მედიკამენტით და მზად არის, ნებისმიერ დროს ერთდროულად 80 პაციენტი მიიღოს. საავადმყოფო ელექტროენერგიით უწყვეტად მარაგდება, დენის გათიშვის შემთხვევაში კი იგი გენერატორების მოშველიებას შეძლებს.

მთავარი ექიმის განცხადებით, საავადმყოფოში ფუნქციონირებს სისხლის გადასხმის კაბინეტი და აუცილებლობის შემთხვევაში დონორების ოპერატიულად გამოძახება მოხდება. თამაზ თავაძე უარყოფს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საავადმყოფო მუშაობის საგანგებო რეჟიმზე პანკისის ხეობაში მოსალოდნელი ანტიტერორისტული ღონისძიებების გამო გადავიდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** ორი დღის წინ გაცნობითი მისიით სოხუმში ჩავიდა საქართველოში აშშ-ს ელჩი **რიჩარდ მაილსი**.

ელჩი მიიღო აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ. შეხვედრაზე განიხილეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე რესპუბლიკაში არსებული ეკონომიკური ვითარება.

**"მოლაპარაკებათა პროცესში პროგრესის არარსებობა და აფხაზური მხარის უარი "ბოდენის დოკუმენტის" განხილვაზე საერთაშორისო საზოგადოებრიობის შეშფოთებას იწვევს, რაც თავის მხრივ, აშშ-ს და საერთაშორისო ორგანიზაციებს ართმევს იმის შესაძლებლობას, რომ ეკონომიკური მხარდაჭერა გაუწიონ ცალკეულ ეკონომიკურ პროექტებს აფხაზეთში,"** - განაცხადა რიჩარდ მაილსმა.

ვალერი არშბას თქმით, **"აფხაზეთი მოლაპარაკებათა პროცესის დაწყებიდანვე ყველაფერს აკეთებს, რაც მასზეა დამოკიდებული, საქართველოსთან ურთიერთობების პოლიტიკური გზით მოსაგვარებლად, მაგრამ ამ 10 წლის მანძილზე საქართველომ აფხაზეთს განსახილველად ვერაფერი შესთავაზა, ავტონომიის გარდა". კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი. "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბაზაზე შეიქმნება ორპალატიანი პარლამენტი", -.** განაცხადა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა.

მისი თქმით, ერთ პალატაში შევა 17 დეპუტატი, რომლებიც უმაღლეს საბჭოში აირჩიეს 1992 წლამდე - ე.ი. აფხაზეთში .საომარი მოქმედებების დაწყებამდე, მეორე პალატაშიც ამდენივე დეპუტატი გაერთიანდება, რომელთაც აირჩევენ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილები. თამაზ ნადარეიშვილის თქმით, აღნიშნული ინიციატივა საჭიროებს კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანას, ასევე ფინანსებს არჩევნების ჩასატარებლად. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**კიევი. "ქართულმა მხარემ გადაწყვიტა, უკრაინულ ხომალდ "ერიდანის" მიერ საზღვრის დარღვევის გამო სისხლის სამართლის საქმე არ აღძრას",**- განაცხადა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა უკრაინაში გრიგოლ ქათამაძემ.

გემის მიერ საქართველოს საზღვრის და ზღვაოსნობის კანონის დარღვევასთან დაკავშირებით შედგა აქტი, რომელსაც ხომალდის კაპიტანმა ხელი მოაწერა. დოკუმენტში საუბარია, რომ უკრაინის მხარემ უნდა გადაიხადოს: საზღვრის დარღვევისათვის 200 000 ლარი, ხოლო 50 000 ლარი - ზღვაოსნობის კანონის დარღვევისათვის. ქართული კანონმდებლობით, ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს სასამართლოში 10 დღის მანძილზე: ამ ვადის ათვლა ხდება აქტის შედგენიდან, ე.ი. 16 აგვისტოდან.

საქართველოს ხელისუფლება ხომალდის დაკავებას იმით ხსნის, რომ ის საქართველოს ტერიტორიულ წყლებში არასანქცირებულად შევიდა. ამჟამად "ერიდანი" ბათუმის პორტში იმყოფება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აგვისტოში შიდსით ინფიცირების ოთხი ახალი შემთხვევა გამოვლინდა. როგორც შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნულ ცენტრში განაცხადეს, ინფიცირებულთაგან სამი მამაკაცია და ერთი ქალი.

მიმდინარე წლის განმავლობაში ცენტრმა ინფიცირებულთა სიაში კიდევ 54 ავადმყოფის სახელი შეიტანა. სპეციალისტთა შეფასებით, საქართველოში შიდსით დაავადების დინამიკა ჯერჯერობით საგანგაშო არ არის, თუმცა, მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც იმსახურებს.

შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, შიდსით ინფიცირების შემთხვევათა უმრავლესობა თბილისზე, აჭარასა და სამეგრელოზე მოდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ენერგეტიკოსებმა ცენტრალურ სადისპეტჩეროს სამდღიანი დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს. ცენტრალურ დისპეტჩერს აღარ ემორჩილებიან თბილისის რეგიონის, კოხრას, ზუგდიდის, სენაკის, სამტრედიის, გორის, ახალციხის, თელავისა და გურჯაანის რაიონული ორგანიზაციები.

ენერგეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარეს მირონ ფირცხელანს იმედი აქვს, რომ ენერგეტიკოსთა დაუმორჩილებლობის შესახებ "ელექტროდისპეტჩერიზაციის" გენერალური დირექტორი ქვეყნის ხელისუფლებას შეატყობინებს და შესაბამისი ზომების გატარებას მოსთხოვს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა ხუთშაბათს ოფიციალურად გამოთქვა პრეტენზიები რუსი კოლეგების მიმართ, რომლებმაც წინა დღეს გაავრცელეს ინფორმაცია საზღვრის დარღვევის გამო ჩრდილოკავკასიაში რუსი მესაზღვრეების მიერ საქართველოს 17 მოქალაქის დაკავების თაობაზე.

ქართული სასაზღვრო უწყების პრესსამსახურის უფროსის შალვა ლონდარიძის თქმით, თბილისს არ მიუღია არანაირი ოფიციალური ინფორმაცია რუსეთის მესაზღვრეებისაგან აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

იგი აცხადებს, ეს უკვე პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც რუსეთის სასაზღვრო სამსახური მსგავს ინფორმაციას ავრცელებს და არ ცდილობს მის გადამოწმებას ქართველ კოლეგებთან.

**"რუსეთის ტერიტორიაზე ფარულად შეღწევის მცდელობის დროს საქართველოს მოქალაქეების დაკავების შესახებ ინფორმაციას ქართული სასაზღვრო უწყება არ ფლობს",** - განაცხადა შალვა ლონდარიძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ერევანი.** რუსეთის გაზის მონოპოლისტმა "გაზპრომმა" 2001 წელს 3,4 მილიარდი რუბლის ინვესტიცია განახორციელა სომხურ-რუსულ ერთობლივ საწარმოში "არმროსგაზპრომში". ამის შესახებ ნათქვამია "გაზპრომის" გასული წლის ფინანსურ ანგარიშში, რომელიც ამ კომპანიის პრესსამსახურმა გაავრცელა.

"გაზპრომს" 1997 წელს შექმნილი "არმროსგაზპრომის" აქციათა 45 პროცენტი ეკუთვნის. **პრაიმ-ნიუსი**

# სომალიში გატაცებული ქართველი მეზღვაურების ბედი გაურკვეველია

სოფო კვინტრაძე


რევაზ ბერაძე
ლევან ხერხეულიძის ფოტო

30 ივლისს სომალის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან სომალელი მეკობრეები თავს დაესხნენ ჩრდილოეთ კორეის დროშის ქვეშ მცურავ გემს "JENLIL"-ს, რომელიც ბერძნულ კომპანიას "Palace Navigation SA"-ს ეკუთვნის. ეკიპაჟი მთლიანად ქართველი მეზღვაურებით იყო დაკომპლექტებული. თავდამსხმელებმა გემი რას ასირის ნავსადგურში შეიყვანეს, ხოლო გატაცებული ექვსი მეზღვაური სანაპიროდან 150 კილომეტრით დაშორებულ პუნქტში გადაიყვანეს. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მეზღვაურების სიცოცხლეს ჯერჯერობით საფრთხე არ ემუქრება, თუმცა, მათი ბედი გაურკვეველია. გემისა და ეკიპაჟის გამოსასყიდის სახით სომალელი მეკობრეები გემის მფლობელებისაგან თავდაპირველად 600 000 დოლარს ითხოვდნენ. ამჟამად საბერძნეთის მხარე და გემის მფლობელების ადვოკატები აწარმოებენ მოლაპარაკებებს მეკობრეებთან, რის შედეგადაც გამტაცებლებმა გამოსასყიდი თანხა 400 000 დოლარამდე შეამცირეს.

მომხდარის შესახებ ინფორმირებულნი არიან მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ცენტრი, აგრეთვე საფრანგეთის საელჩო საბერძნეთში, საბერძნეთის საზღვაო ტრანსპორტის სამინისტრო, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია და ინტერპოლი. თუმცა, მიუხედავად ამ ორგანიზაციების ძალისხმევისა, მეზღვაურების გათავისუფლება ვერ ხერხდება. როგორც საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილემ, რევაზ ბერიძემ განაცხადა, ქართულ მხარეს პრაქტიკულად არაფრის გაკეთება არ შეუძლია, გარდა ერთობლივი თანამშრომლობისა და კოორდინაციისა. ბერიძის თქმით, მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ გემის მფლობელებსა და იმ ქვეყანას, რომლის დროშითაც დაცურავდა გემი, ანუ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას. ბერძნული კომპანიის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ მათ გამოსასყიდი თანხის გადახდა არ შეუძლიათ. მეკობრეთა წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის რეკომენდაციით, მეზღვაურთა გათავისუფლების ერთ-ერთი გზა სამხედრო სპეცოპერაციაა, ანუ მეკობრეთა წინააღმდეგ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება. თუმცა, მეკობრეთა წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი იმასაც აცხადებს, რომ ამგვარმა ოპერაციამ წინა შემთხვევაში უშედეგოდ ჩაიარა.

ასე რომ, ექვსი ქართველი მეზღვაურის ბედი გაურკვეველია, ქართული მხარე კი უარს აცხადებს, რაიმე პასუხისმგებლობა იტვირთოს საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის უსაფრთხოებაზე.

# პურის ბიზნესს წყალი შეუდგა

პირველი გვერდიდან

ვაშლიჯვარში მათი გუშინდელი სტუმრობის მიზეზი კი ის იყო, რომ გადასახადების სიმძიმით შეწუხებულ პურის მწარმოებელთა ლობისტობა საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატების" წევრმა, საგადასახადო შემოსავლების ყოფილმა მინისტრმა მიხეილ მაჭავარიანმა იკისრა. სამგორის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს განზრახული აქვს, საშემოდგომო სესიის გახსნისთანავე პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შევიდეს და საგადასახადო კოდექსში ახლახან შეტანილი ცვლილებების ხელახალი რევიზია მოითხოვოს.

მაჭავარიანის მოთხოვნაა, ხორბლის იმპორტი მთლიანად გათავისუფლდეს დღგ-სა და საბაჟო გადასახადისგან (მით უმეტეს, რუსეთიდან, ყაზახეთიდან და უკრაინიდან შემოტანილი ხორბალი საბაჟო გადასახადისგან დღეს ისედაც თავისუფალია), ხოლო ფქვილის იმპორტზე, აგრეთვე, ფქვილის ნაწარმზე ამჟამად არსებული 20-პროცენტიანი დამატებითი ღირებულების გადასახადი 7 პროცენტამდე შემცირდეს.

**"ეს ფქვილის თვითღირებულების შემცირებას გამოიწვევს და მეწარმეებს საშუალებას მისცემს, ლეგალური საქონლით აწარმოონ პურის ბიზნესი. თუ ბიზნესმენთა ხარჯები "გაპრავდება", მაშინ ხორბალიც და ფქვილიც ქვეყანაში კანონიერი გზით შემოვა და არა კონტრაბანდულით",** - აცხადებს მაჭავარიანი. დეპუტატის აზრით, თუ პარლამენტი მის საკანონმდებლო ინიციატივას მოიწონებს, მეწარმეები გაკოტრებას გადარჩებიან. მათ სახელმწიფოსთვის დაახლოებით იმავე ოდენობის თანხის გადახდა მოუწევთ, რასაც ადრე იხდიდნენ - "ლევს" და "პრავს" პლუს საგადასახადო სამსახურების მიერ "რაღაცეებზე" თვალის დახუჭვისთვის გაღებული საფასური.

მაჭავარიანის თქმით, მორიგ საგადასახადო ცვლილებას მირიან გოგიაშვილის უწყება მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება. როგორც ირკვევა, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი მზად არის, რომ ხორბლის იმპორტი დღგ-სგან გათავისუფლდეს, მაგრამ ფქვილის 20-პროცენტიანი დღგ-ს 7 პროცენტამდე შემცირებას სასტიკად ეწინააღმდეგება. თუმცა, მაჭავარიანი ვარაუდობს, რომ სხვა ფრაქციებთან შეთანხმებას მიაღწევს და ფინანსთა სამინისტროს "ვეტოს" დაძლევას მოახერხებს.

**"50-60 დეპუტატის წინასწარი თანხმობა უკვე არსებობს",** - საპარლამენტო ბატალიების დაწყების წინ იმედიანად არის განწყობილი პურის ბიზნესმენთა ლობისტი.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პურის საცხობების დაბეგვრის ამჟამად დაკანონებული რეჟიმით უკმაყოფილო მცირე მეწარმეებს, "დემოკრატები" და "ნაციონალები" პარლამენტში ამას წინათ ერთად შეხვდნენ, გუშინ კი "მეპურეებს" მათ ცალ-ცალკე უმასპინძლეს.

**"მე შევთავაზე "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს, რომ მათ შეხვედრაზე მივიდოდი და ჩემს საკანონმდებლო ინიციატივას გავაცნობდი, მაგრამ უარი მივიღე. მითხრეს, შენ ცალკე შეხვდი მეწარმეებს და ჩვენ - ცალკეო",** - აცხადებს მაჭავარიანი, რომელიც "ნაციონალების" "სეპარატიზმის" მიზეზს ვერ (თუ არ) ასახელებს.

# მოსკოვის სამხედრო მანქანა ამოქმედდა

პირველი გვერდიდან

თავდასხმა. ამ ბრძოლების შედეგად სამხედროები და ბოევიკები დაიღუპნენ. 14 ბოევიკი ქართველმა მესაზღვრეებმა დააკავეს, თუმცა, მათ ექსტრადიციაზე, ჟენევის კონვენციაზე დაყრდნობით, მოსკოვს უარი უთხრეს.

ეს მოსკოვმა უკვე გამოწვევად მიიღო - როგორ, მეზობელი უარის თქმას ბედავს და, თანაც, საერთაშორისო სამართალზე მიუთითებს! რუსეთი დიდი ხანია, ამტკიცებს, რომ პანკისის ხეობა ჩეჩენი და სხვა ფუნდამენტალისტი ბოევიკებისთვის თავშესაფრად იქცა. თუმცა, ფაქტებით ამის დამტკიცება ვერავინ შეძლო, ვერც რუსებმა და ვერც ამერიკელებმა, რომლებმაც თებერვალში განაცხადეს, რომ პანკისი ხეობაში "ალ ქაედასთან" დაკავშირებული ელემენტები იყვნენ. ეს ვაშინგტონის მხრიდან აშკარა სპეკულაციები იყო, რომელიც ამერიკის ადმინისტრაციამ საქართველოსთვის სამხედრო დახმარების გასაზრდელად გამოიყენა.

ამავდროულად, რუსეთის მაღალ ეშელონებში უკვე სერიოზულად დაფიქრდნენ, როგორ გააგრძელონ ურთიერთობა საქართველოსთან. უფრო ფრთხილი პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ საჭიროა, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით იმოქმედონ. უფრო რადიკალური პოლიტიკის მიმდევრები კი ფიქრობენ, რომ ამერიკის თანხმობა საკმარისია საქართველოში სამხედრო მოქმედების დასაწყებად.

ცხადია, რომ რუსეთის ისტერიის მთავარი მიზეზი სულაც არ არის პანკისის ხეობაში რამდენიმე ბოევიკის ყოფნა. ნუთუ, რუსი სამხედროები ისეთი გულუბრყვილოები არიან, რომ მართლა სჯერათ, ჩეჩნეთში ომის მოგება პანკისში ბოევიკების ნეიტრალიზაციასთან პირდაპირ კავშირშია? ცხადია, რომ ჩეჩნეთთან ომზე პანკისის ხეობას არანაირი პრინციპული გავლენის მოხდენა არ შეუძლია. უფრო მეტიც, ის ჩეჩნები, რომლებიც თავს პანკისს აფარებენ, საომარი მოქმედებების ეპიცენტრიდან სრულიად მოწყვეტილები არიან.

როცა სერგეი ივანოვი აცხადებს, რომ საქართველოს პანკისის პრობლემის მოგვარება, რუსული სპეცდანიშნულების დანაყოფის ჩარევის გარეშე, არ შეუძლია, ჩნდება კითხვა: რატომ არ უნდა რუსეთს, ვიდრე სუვერენულ სახელმწიფოს მიადგება, მანამდე ეს დანაყოფი თავად ჩეჩნეთში გამოიყენოს?

ცხადია, რომ მთელი ამ ისტერიის უკან რუსეთის ერთადერთი სურვილი იმალება, შეინარჩუნოს პოზიციები საქართველოში. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მოსკოვი საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ბაზების გაყვანაზე უარს ამბობს, ხოლო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მისი სამხედროები სამშვიდობო ძალების როლს ცუდად ერგებიან.

**გერმანული გაზეთი**
**"თაგესცაიტუნგი"**

# ჩვეულებრივი კრიმინალი თუ კრიზისი სამშვიდობო ძალებში

პირველი გვერდიდან

ამასთან, მომხდარი მკვლელობის ფაქტზე, თბილისიდან ჩასულ გამომძიებლებს ბატალიონში ერთი და იგივე ვერსია ხვდებოდათ - დანაშაული ჩადენილია აფექტის მდგომარეობაში ან იარაღის გაუფრთხილებლად გამოყენებით. თუმცა, არსებობდა განსხვავებული ვერსიებიც, რომლის შესახებ ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა.

საქმე ის გახლავთ, რომ 1992-95 წლებში, სამშვიდობო ოპერაციის საწყის ეტაპზე, სწორედ ცხინვალის გზით გაედინებოდა რუსეთისკენ საქართველოს ტერიტორიაზე ნაძარცვი ავტომობილები, იქიდან კი სანაცვლოდ, ძირითადად, ნარკოტიკული ნივთიერებები შემოდიოდა. ამ ბიზნესს კი, რომელსაც ხშირად თან ახლდა სისხლიანი ანგარიშსწორებები და ადამიანთა გატაცებები, "მხედრიონისა" და ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან დაკომპლექტებული ქართული სამშვიდობო ბატალიონის წარმომადგენლები აკონტროლებდნენ.

არსებულ ვითარებაში ერთადერთ გამოსავლად მიჩნეულ იქნა, ბატალიონის დაშლა და მისი ახალი პირადი შემადგენლობით დაკომპლექტება. 1997 წელს, თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ქართული სამშვიდობო ბატალიონი ახალციხის მოტომსროლელი ბრიგადის ჯარისკაცებისგან დაკომპლექტდა, მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარზომა აღმოჩნდა.

გამოირკვა, რომ სამხედრო ხელმძღვანელობას არ ჰქონდა მოფიქრებული როტაციის ეფექტიანი მექანიზმი, რასაც, ბევრ სიკეთესთან ერთად, ერთი მთავარი ღირსება აქვს - პირადი შემადგენლობა იცვლება უფრო ადრე, ვიდრე სამხედროები არსებულ რეალობაში გათქვეფას მოასწრებენ. საგულისხმოა, რომ ეს უპირატესობა უფრო ადრე აღმოაჩინეს სამშვიდობო ოპერაციის სხვა წევრებმა და, სულ მალე, როტაციის პრინციპი სავალდებულო გახდა კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსული და ოსური ბატალიონებისთვის.

წინამორბედების შეცდომის გამოსწორებას ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე შეეცადა. 1999 წელს მან წამოაყენა იდეა, რომ ცხინვალის მისადგომებთან მყოფი სამშვიდობო ბატალიონი კოსოვოდან ჩამოსული ქართველი მშვიდობისდამცველებით პერმანენტულად განახლებულიყო. მაგრამ ყველაფერი ფუჭი ლაპარაკი აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში კოსოვოგამოვლილი ქართული ოცეული, რომლის პროფესიონალიზმი აშკრად დადებითად იმოქმედებდა საქართველოს ავტორიტეტზე, ცხინვალთან დღემდე არავის უნახავს.

სამაგიეროდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ერთი თვის წინ მიიღო უცნაური გადაწყვეტილება და ერთობლივ სამშვიდობო ოპერაციაში ჩაბმულ ქართულ ბატალიონს, ბოლო მომენტში მონაწილეობის მიღება აუკრძალა სამშვიდობო ძალების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო აღლუმში, რომელიც ცხინვალის სტადიონზე უნდა გამართულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტი სულ მალე ამოწურულად გამოცხადდა, როგორც თავად ქართველი სამხედროები აცხადებენ, ასეთი გაუგებარი დემარშის შემდეგ ურთიერთობა ქართული ბატალიონის წარმომადგენლების მიმართ აშკარად გაუარესდა.

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საგულისხმოა, "კავკას-პრესის" სააგენტოს მიერ ოთხშაბათს გავრცელებული ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ 21 აგვისტოს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დაპირისპირება კინაღამ საომარ შეტაკებამდე მისულა. ამის მიზეზი კი გამხდარა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება, გაძლიერებული შეიარაღებული ფორმირებებით გზა გადაეკეტა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსი მშვიდობის დამცველებისათვის, რომლებმაც დაარღვიეს მანდატით გათვალისწინებული მოთხოვნები და სამშაბათს ქართველების მიერ კონტროლირებად ახალგორის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ.

ასეთ შემთხვევაში, დამრღვევის ბლოკირება სრულიად ადეკვატურ რეაქციად უნდა მივიჩნიოთ. წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა საპირისპირო შემთხვევაში, ანუ გატაცებული ოფიცრის მოსაძებნად ქართველი მშვიდობისმყოფელები რუსების პასუხისმგებლობის ზონაში რომ შესულიყვნენ? მაგრამ აქ ყველაზე დამაფიქრებელია შემდეგი ინფორმაცია:

სააგენტოს ინკოგნიტო ინფორმატორის ცნობით, როგორც ზემოხსენებული აღლუმის შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ეს ბრძანება ამჯერადაც არ ყოფილა შეთანხმებული ქვეყნის პრეზიდენტთან, რაც გარკვეული ტენდენციის არსებობაზე მიუთითებს: 1) ან საქართველოს პრეზიდენტი რეალურად ველარ აკონტროლებს ძალისმიერ მინისტრებს, ანდა 2) შევარდნაძის გარემოცვა განზრახ ქმნის თავდაცვის დაუმორჩილებელი მინისტრის იმიჯს, რათა ამ გზით დავით თევზაძე და მისი გუნდი სამხედრო უწყებას ჩამოაშოროს.

# ავთანდილ ჯორბენაძე სექტემბრისთვის პარლამენტში დასაყრდენს იმზადებს

პირველი გვერდიდან

კიდევ უფრო რადიკალურია მსგავს უმრავლესობასთან დაკავშირებით საუბრისას ფრაქცია "ოცდამეერთე საუკუნის" თავმჯდომარე ვახტანგ ბოჭორიშვილი, რომელმაც "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ სიამოვნებით შექმნიდა უმრავლესობას, ოღონდ - ამ მთავრობის ოპოზიციაში მყოფს. ხოლო პრინციპული საკითხი, რომელშიც მისი ფრაქციის მხარდაჭერის იმედი ყველა ძალას უნდა ჰქონდეს, იქნება გადაწყვეტილება "სმკ"-ს დაშლის თაობაზე.

**"14 სექტემბერს გამართულ სესიაზე კატეგორიულად დავაყენებ საკითხს, ვისაც საქართველოს გადარჩენა უნდა, პირველ რიგში - პრეზიდენტმა, უნდა მოითხოვოს "სმკ"-ს თვითლიკვიდაცია. "სმკ"-მ უნდა გამოაცხადოს თვითლიკვიდაცია. სხვა არაფერს არა აქვს ახლა მნიშვნელობა. ეგენი თუ დარჩებიან, როგორიც გინდა კოალიციები, ალიანსები და გაერთიანებები შეიქმნას, ყველაფერი განადგურდება,"** - განაცხადა ვახტანგ ბოჭორიშვილმა.

ჯორბენაძის საპარლამენტო გუნდთან შედარებით ახლოს დგანან "სოციალისტები", თუმცა, სავარაუდოა, რომ ასლან აბაშიძისგან ბოლომდე განზე გადგომას ისინი ისევ ვერ გაბედავენ.

სამაგიეროდ, სავარაუდოდ, ჯორბენაძეს, უფრო კი, მისი სახით პრეზიდენტს, შესაძლოა, დასაყრდენად გამოადგნენ ფრაქცია "ახალი აფხაზეთი და დემოკრატები" (15 წევრი). მიუხედავად იმისა, რომ ფრაქციას ვაჟა ლორთქიფანიძე უდგას სათავეში, რომელიც თავს, ალბათ, დღევანდელი სახელმწიფო მინისტრის ჩრდილში მდგომ ფიგურად ვერ მოიაზრებს, ფრაქციიის ბოლოდროინდელი ნაბიჯები ამის თქმის საფუძველს უდავოდ იძლევა. მართალია, "24 საათთან" საუბარში ფრაქციის წევრმა დემურ გიორხელიძემ განაცხადა, რომ ოფიციალური უმრავლესობის შექმნა არჩევნების წინ არასწორად მიაჩნია, მაგრამ ისიც თქვა, რომ **"თუკი ავთანდილ ჯორბენაძე ამ საკითხს დააყენებს, ფრაქცია იმსჯელებს ამ თემაზე. ძნელია წინასწარ იმის თქმა, თუ რა გადწყვეტილებას მივიღებთ, მაგრამ თუ იმ სერიოზულ კრიზისულ სიტუაციებს გავითვალისწინებთ, რაც ბოლო ერთ წელიწადზე მეტია, ჩვენს სინამდვილეში შეიქმნა, ჩვენს ფრაქციას არასწორი ნაბიჯი არ გადაუდგამს. ამდენად, არც ახლა მიიღებს არასწორ გადაწყვეტილებას."**

ფრაქცია "აფხაზეთიც" (12 წევრით), შემადგენლობის გარკვეული სიჭრელის მიუხედავად, პრეზიდენტის ჩრდილქვეშ აღმოჩნდება. იგივე სიტუაციაა "საქართველოს რეგიონები - მაჟორიტარებთან" (14 წევრი) დაკავშირებით. თუმცა, ამ ფრაქციაში იმდენი მაჟორიტარული ინტერესია თავმოყრილი, რომ მათ დასაკმაყოფილებლად ჯორბენაძეს სერიოზული მუშაობა მოუწევს. ამაზე გარკვეული მინიშნება გააკეთა თავად ფრაქციის ხელმძღვანელმა არჩილ გოგელიამ "24 საათთან" საუბარში. კერძოდ, მან განაცხადა: **"რაც შეეხება მოლაპარაკებებს, თუ ავთანდილ ჯორბენაძე ამას გადაწყვეტს და ჩვენთან კონსულტაციებს გამართავს, მე ამისთვის მზად ვარ, იმიტომ, რომ კონსულტაციებზე მე ჩემს დაუძინებელ მტერთანაც კი წავალ, მაგრამ რას გადავწყვეტ, ამას თვითონ სიტუაცია აჩვენებს. წინასწარ ვერ გეტყვით, რა გადაწყვეტილებას მივიღებთ, გააჩნია, რა წინადადებებს შემოგვთავაზებენ".**

საბოლოო ჯამში, საპარლამენტო გუნდში, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი და ავთანდილ ჯორბენაძე პარლამენტში დასაყრდენად იმზადებს, 80-მდე დეპუტატი იყრის თავს.

ამ სიტუაციაში, პრინციპული გადაწყვეტილებების მიღების დროს, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ისევ "ახლებისა" და "მრეწველების" პოზიციას, რომლებიც გარკვეულ ეტაპზე ასეთი დასაყრდენის როლში უკვე იყვნენ.

"ახლებს" დღეს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული რომ არ აქვთ, ამაზე მათი საზაფხულო გაუჩინარებაც მოწმობს. ამ გაუჩინარების პერიოდში მათ, სავარაუდოდ, ის აქვთ გადასაწყვეტი, ღირს თუ არა პრეზიდენტის ოპოზიციაში გადასვლა, რადგან ჯორბენაძის გვერდით ისინი კარგად უკვე ველარ ეწერებიან.

"მრეწველები" კი, სავარაუდოდ, ისევ "დროებითი გარიგებების" ტაქტიკას გააგრძელებენ, რაზეც გარკვეულ წარმოდგენას ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერის, ზურაბ ტყემელაძის მიერ "24 საათისთვის" გაკეთებული განმარტებაც მოწმობს: **"ავთანდილ ჯორბენაძეს ჩვენთან საპარლამენტო უმრავლესობის შექმნასთან დაკავშირებით არანაირი კონსულტაციები და მოლაპარაკებები არ ჰქონია და არც უნდა ჰქონოდა. ასეთი წინადადება არც შემოუთავაზებია და არც შემოგვთავაზებდა არავითარ შემთხვევაში, იმიტომ, რომ, მე მგონი, კარგად იცის ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, გარკვეულ საკითხებში ჩვენი მხარდაჭერის იმედი ყველას უნდა ჰქონდეს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხები ჩვენი ფრაქციის პოზიციებს ემთხვევა,"** - განაცხადა მან.

მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს სახელმწიფო მინისტრისა და, მისი სახით პრეზიდენტის, საპარლამენტო დასაყრდენი. ამ დასაყრდენის და შიდასაპარლამენტო ძალთა გადანაწილების მოსინჯვა კი უახლოეს პერიოდში, საშემოდგომო სესიის გახსნამდე მოხდება. საქართველოს პარლამენტს ისევ ჩასატარებელი აქვს რიგგარეშე სესიის მორიგი სხდომა, რომელზეც პარლამენტარებმა გუბერნატორების ინსტიტუტის შესახებაც უნდა იმსჯელონ.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ზესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

ეკონომიკა

# მაჭავარიანი მოლაშვილს ცილისწამებაში ადანაშაულებს

პირველი გვერდიდან

თავის გამოსვლაში კონტროლის პალატის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილს ბრალი დასდო, რომ ეს უკანასკნელი, იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროს, არაფერს ამბობდა საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში რვა მილიონ ლარზე გაცემული ყალბი ანგარიშფაქტურების შესახებ. მოლაშვილის განცხადებით, აღნიშნული თანხები ფეშენებელური ოფისების მშენებლობასა და სხვა არამიზნობრივ ხარჯებს მოხმარდა. მიხეილ მაჭავარიანი ამ ბრალდებას "ბუნებაში არარსებულსა და აბსურდულს" უწოდებს. ამის დასამტკიცებლად მაჭავარიანს მოჰყავს თავად კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დასკვნა, რომელიც საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს შემოწმების შემდეგაა დაწერილი. პრეზიდიუმის დასკვნაში არაფერია ნათქვამი ზემოთ ნახსენები ყალბი ანგარიშფაქტურების შესახებ. მაჭავარიანი აცხადებს, რომ ადგილი აქვს კონტროლის პალატის მხრიდან ან სერიოზული დარღვევების დამალვას, ან რეფორმატორების გუნდის დისკრედიტაციის მცდელობას.


მიხეილ მაჭავარიანი
იური ლობოდინის ფოტო

მიხეილ მაჭავარიანი მოლაშვილის ბრალდებას ცილისმწამებლურს უწოდებს და მისგან ამის საჯაროდ აღიარებას მოითხოვს. გარდა ამისა, საგადასახადო შემოსავლების ყოფილმა მინისტრმა საქართველოს გენერალურ პროკურატურასაც მიმართა და მოლაშვილის ბრალდების გამოკლევა მოითხოვა. **"თუ კონტროლის პალატის თავმჯდომარის განცხადებებსა და მინიშნებებში არ არსებობს ფაქტობრივი საფუძველი, ანუ სახეზეა ჩემს მიმართ აშკარა ცილისწამება, გთხოვთ, მიიღოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები"**, - ნათქვამია გენერალური პროკურორისადმი მაჭავარიანის მიმართვაში. ასე რომ, შეურაცხყოფილი პარლამენტარი ჯერჯერობით სასამართლოში ჩივილს არ აპირებს და გენერალური პროკურატურის დასკვნას ელოდება, მანამდე კი, შესაძლოა, კონტროლის პალატის თავმჯდომარემაც მიიღოს საპასუხო ზომები.

# ჩრდილოეთ კორეა კაპიტალიზმის გზას დაადგა

თორნიკე შარაშენიძე

მსოფლიო კომუნიზმის ერთ-ერთი უკანასკნელი ბასტიონი ჩრდილოეთ კორეა საბაზრო ეკონომიკის რეფორმებს ატარებს. კერძოდ, ფხენიანმა გააუქმა ტალონებისა და კუპონების სისტემა, რომელთა მიხედვითაც ყოველი მოქალაქე უმნიშვნელოვანესი პროდუქტების მცირე რაციონს იღებდა და გამოათავისუფლა ფასები საკვებზე, საწვავზე, ტრანსპორტზე და ა.შ. ამ რეფორმის შედეგად ფასები კატასტროფულად ავარდა. კერძოდ, 50-ჯერ გაძვირდა ბრინჯი. მაგრამ მთავრობამ, ამის პარალელურად, გაზარდა ხელფასებიც, რათა მოსახლეობას საშუალება მისცეს, ნაწილობრივ მაინც გაწვდეს ახალ ტარიფებს. რეფორმები კომპანიებისათვის ფასების მათ ნებაზე დაწესების, სხვა ფირმებთან ნედლეულის შესაძენად თავისუფალი მოლაპარაკებების წარმართვისა და მუშაკთათვის წამახალისებელი სისტემის შემუშავების უფლებათა გადაცემასაც მოიცავს, რაც უდაოდ დიდი ნაბიჯია ათწლეულების განმავლობაში ჩუჩხას (მარქსიზმ-ლენინიზმის კორეული ვარიანტი) ჭაობში ჩაფლული ქვეყნისათვის.

"ეს პირველი ნაბიჯებია საბაზრო ეკონომიკის ათვისების გზაზე," - იუწყება სამხრეთ კორეის ცენტრალური ბანკი, რომელიც ყურადღებით აკვირდება მოძმე ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. როგორც ირკვევა, ეს რეფორმები ივლისში გატარდა, მაგრამ ოფიციალური ფხენიანი ამის შესახებ არაფერს იუწყებოდა.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა კორეა ომმა ორად გახლიჩა, ჩრდილოეთ ნაწილი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჩაკეტილი ქვეყანაა. იქ, პრაქტიკულად, არანაირი ინფორმაცია არ აღწევს გარე სამყაროდან. კომუნისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ტრადიციის თანახმად, ჩრდილოელებს ჰყავთ უზარმაზარი, კარგად გაწვრთნილი არმია, ძლიერი სპეცსამსახური და, როგორც საფუძვლიანად ეჭვობენ, ბირთვული იარაღის შექმნაზეც მუშაობენ. ცხადია, ასეთი მეზობელი ერთობ საშიშია, მით უმეტეს კი, მათი თანამოძმეებისათვის, რადგან, ღმერთმა უწყის, ფხენიანი ჩუჩხას სახელით ორი კორეის გაერთიანებას როდის მოინდომებს.

აქედან გამომდინარე, სეული ყველაზე მეტადაა დაინტერესებული ჩრდილოეთ კორეის რეფორმირებითა და მისი ცივილიზებულ სამყაროში დაბრუნებით. უსაფრთხოების მოსაზრებებს რომ თავი დავანებოთ, საქმე ეხება თანამემამულეებს, რომლებიც ჩუჩხამ საშინელ ეკონომიკურ სიდუხჭირემდე მიიყვანა. შიმშილობამ ქვეყანაში ისეთ დონეს მიაღწია, რომ კანიბალიზმი იქ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მარტო 1996 წელს ჩრდილოეთ კორეაში შიმშილისაგან ასეულ ათასობით ადამიანი დაიღუპა. მით უფრო მნიშვნელოვანია ჩრდილოეთში საბაზრო ეკონომიკის შემოღება იმ თვალსაზრისით, რომ, ადრე თუ გვიან, ორი კორეის გაერთიანება აუცილებლად დადგება დღის წესრიგში (ამის შესახებ ფხენიანშიც კარგად უწყიან და სეულშიც) და სამხრეთს ძალიან არ უნდა გაუჭირდეს გაჭირვებული ჩრდილოეთის მონელება – გავიხსენოთ, როგორი ეკონომიკური პრობლემები შეექმნა გერმანიას ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ. არადა, აღმოსავლეთ გერმანია ხომ ახლანდელ ჩრდილოეთ კორეაზე გაცილებით განვითარებული იყო.

ხელფასები ჩრდილოეთ კორეაში დაახლოებით ოცჯერ გაიზარდა. თუკი ადრე საშუალო ანაზღაურება 100-150 ვონს შეადგენდა, ახლა ეს მაჩვენებელი 2000 ვონზე ავიდა. თუმცა, ფასების ზრდის გათვალისწინებით, ეს დიდი ვერაფერი შეღავათია. ინფლაციამ მაშინვე იფეთქა და თუკი ადრე 1 დოლარი 2,15 ვონს უტოლდებოდა, ახლა 150 ვონზე ავიდა. ასე რომ, ჩრდილოეთ კორეელის ხელფასი ამჟამად 13 დოლარია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამგვარი მოვლენები ყოველთვის ახლავს საბაზრო ეკონომიკის შემოღებას, რაც ყოფილი საბჭოთის ქვეყნებსაც უწვნევიათ საკუთარ თავზე. მთავარია, რომ რეფორმები დაიწყო.

# ხაბაზთა "სოლიდარობა" დაბეგვრის ძველ რეჟიმს ითხოვს

პირველი გვერდიდან

**"პურის საცხობს, რომელიც დაბეგვრის რეჟიმის შეცვლამდე 500 ლარს იხდიდა, ახლა 3,5 ათასი ლარის გადახდა უწევს. ბოლო პერიოდში, საგადასახადო ცვლილებების გამო, თბილისის ორ რაიონში 70-მდე საცხობი დაიხურა"**, - განაცხადა გუშინდელ შეხვედრაზე მცირე მეწარმემ ვახტანგ ზენაიშვილმა. მას მხარი დაუჭირა ბესო ჯუღელმა: **"პარლამენტმა და მთავრობამ ისე გაამკაცრა პურის ბიზნესის დაბეგრვის რეჟიმი, რომ მცირე მეპურეებისთვის არავის არაფერი უკითხავს. ისინი მხოლოდ დღეს იწყებენ კონსულტაციებს მცირე საცხობების ხელმძღვანელებთან, რომლებიც ხელისუფლებამ გაკოტრებამდე მიიყვანა"**. ჯუღელის თქმით, ხელისუფლებას დაბეგვრის რეჟიმის შეცვლის სურვილი არა აქვს და მოქმედებს ცალკეულ პოლიტიკურ ჯგუფებთან გარიგებით. **"მე ვერ გეტყვით, არის თუ არა შეთანხმება "მრეწველებსა" და მთავრობას შორის, მაგრამ პურის ბიზნესის დაბეგვრის საკითხში გარიგება რომ შედგა, აშკარაა"**, - დასძინა ჯუღელმა.


შეხვედრაზე
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

პურის მცირე საცხობების მფლობელთა გაერთიანება "სოლიდარობა" და "ნაციონალური მოძრაობა" უახლოეს პერიოდში პარლამენტს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტს შესთავაზებენ, რომლითაც პურის ბიზნესი დაბეგვრის ძველ რეჟიმს უნდა დაუბრუნდეს. **"ეს დროებითი ნაბიჯი უნდა იყოს"**, - აღნიშნეს "სოლიდარობის" წარმომადგენლებმა. მათი აზრით, სასურველია, მცირე საცხობებისთვის დაწესდეს ფიქსირებული გადასახადი, მაქსიმუმ, თვეში 100 ლარის ოდენობით. დღეს მოქმედი რეჟიმით, საცხობები იბეგრება ფიქსირებული გადასახადით 320 ლარის ოდენობით - მოქმედი ღუმელის საცხობზე ფართობის ყოველ კვადრატულ მეტრზე და 400 ლარით – ყოველ თონეზე.

უცხოეთი

# უკრაინა საშემოდგომო დესტაბილიზაციის მოლოდინში

შოთა უტიაშვილი

21 აგვისტოს უკრაინის გენერალურმა პროკურორმა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, იულია ტიმოშენკოსათვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნა მოითხოვა. პროკურატურა ყოფილ ვიცე-პრემიერს და ამჟამად საპარლამენტო ფრაქცია "იულია ტიმოშენკოს ბლოკის" თავმჯდომარეს სახელმწიფო სახსრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს. გენერალური პროკურორის, სვიატოსლავ პისკუნის განცხადებით, ტიმოშენკოსა და მის მეუღლეს 2 მილიარდ 271 მილიონი დოლარის მითვისებაში ედებათ ბრალი. 90-იანი წლების ბოლოს ტიმოშენკო ვიცე-პრემიერი გახლდათ და სათბობ-ენერგეტიკის საკითხებს კურირებდა. მისი ოჯახი აკონტროლებდა "უკრაინის გაერთიანებულ ენერგო სისტემებს", რომლის ძირითადი საქმიანობაც რუსეთიდან იმპორტირებული გაზის დისტრიბუცია იყო. ბრალდების თანახმად, თანხების დატაცებაც ამ კომპანიის მეშვეობით ხდებოდა. გარდა ამისა, ტიმოშენკოს ბრალი ედება რუსეთის თავდაცვის სამინისტროსათვის 14 ათასი დოლარის ოდენობით ქრთამის გადახდაში, რის შედეგადაც რუსებმა 100 მილიონი დოლარით გაბერეს კომპანიისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა, – ამტკიცებს პისკუნი.


იულია ტიმოშენკო

ყველა ხსენებული დანაშაული 96-98 წლებშია ჩადენილი და ამისათვის ტიმოშენკოს გასულ წელს უკვე მოუწია საგამოძიებო იზოლატორში ჯდომა. მაშინ, მასობრივი საპროტესტო აქციების შემდეგ, ხელისუფლება იძულებული გახდა, იგი გაეთავისუფლებინა. რამ გამოიწვია ამ საქმის ისევ წინ წამოწევა?

საქმე ისაა, რომ, ჩვენი არ იყოს, "საშემოდგომო დესტაბილიზაციას" უკრაინაშიც მოელიან. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც სახალხო გამოსვლებისათვის ემზადება. "გენერალური რეპეტიცია" მათ გასულ წელს, მოძრაობის - "უკრაინა კუჩმას გარეშე" გააქტიურების დროს გაიარეს. ერთი კვირის წინ ყველაზე გავლენიანი ოპოზიციური დაჯგუფების - "ჩვენი უკრაინის" დეპუტატებმა განაცხადეს, რომ მათთან ახლოს მყოფ ბიზნესმენებზე მთავრობა დიდ ზეწოლას ახორციელებდა. პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წევრის, რიბაჩუკის თქმით, შსს-ს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტი პირდაპირ ატერორებდა მის ფრაქციასთან დაკავშირებულ კომპანიებს. ამგვარი ზეწოლის გამო პროტესტი პარტიის ლიდერმა, ვიქტორ იუშჩენკომაც გამოთქვა.

ოპოზიცია და დამოუკიდებელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ტიმოშენკოსთვის იმუნიტეტის მოხსნის მოთხოვნა სწორედ მოსალოდნელ დესტაბილიზაციას უკავშირდება. ხელისუფლებას, რომელსაც არ ძალუძს, საკუთარი "სისუფთავე" დაამტკიცოს, იძულებულია, ხალხი დაარწმუნოს იმაში, რომ ყველა ერთნაირად გასვრილია. ტიმოშენკო კი, თავისი ენერგოსკანდალებით, ამ პოლიტიკისათვის ერთ-ერთი ყველაზე შესაფერისი სამიზნეა.

# ლუკაშენკომ პუტინს ლენინი და სტალინი ამჯობინა

**"რესპუბლიკის დაქუცმაცება და სსრკ-ს შემადგენლობაში ასეთი ფორმით ჩართვა, თვით ლენინს და სტალინს არ მოსვლიათ თავში"**, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ პუტინის წინადადებას რუსეთ-ბელორუსის გაერთიანების შესახებ. ეს მან მინსკში დაღესტნის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან მაგომედალი მაგომედოვთან შეხვედრისას განაცხადა. ლუკაშენკოს თქმით, რუსეთის ფედერაციაში ბელორუსის ინტეგრირების იდეა მოსახლეობაშიც ვერ ჰპოვებს მხარდაჭერას. **"არავინ დათანხმდება ბელორუსის დანაწევრებას და სხვა, თუნდაც მეგობრული სახელმწიფოს შემადგენლობაში შეყვანას"**, - გაღიზიანებული ტონით აღნიშნა ბელორუსის პრეზიდენტმა. დაღესტნის რესპუბლიკის ხელმძღვანელთან საუბრის დროს, მისი თავდაპირველად დიპლომატიური ტონი, მოულოდნელად აგრესიულმა და ხმამაღალმა განცხადებებმა შეცვალა. ლუკაშენკო პუტინის არც მეორე წინადადებას – რუსეთ-ბელორუსის ევროკავშირის მოდელით გაერთიანებას დაეთანხმა. **"მე არ შემიძლია ფედერაციული შეთანხმების დარღვევა, რომლის მიღწევაც სისხლის და ოფლის ფასად დამიჯდა და რომელიც ასევე ძვირფასია რუსეთის ყოფილი ხელისუფლებისათვის,"** - განაცხადა გაბრაზებულმა ლუკაშენკომ. მიუხედავად იმისა, რომ გამოსვლის ბოლოს ტონი შეცვალა და კვლავ ორი მოძმე ერის გაერთიანებაზე ალაპარაკდა, მან, ფაქტობრივად, რუსეთ-ბელორუსის გაერთიანებას ახალი პრობლემები შეუქმნა.

ბელორუსის პრეზიდენტის მიერ ასეთი განცხადების გაკეთებამ, ბელორუსში რადიკალურ ოპოზიციურ დაჯგუფებებს ფრთები შეასხა. მათ იმავე დღეს მინსკის ცენტრში "აგრესიული იმპერიის" შემადგენლობაში ბელორუსის შესვლის წინააღმდეგ ხალხმრავალი მიტინგი გამართეს და პუტინის სურათები დახიეს.

# აშშ რუსეთ-ერაყის სავაჭრო კავშირმა შეაშფოთა

აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის მდივანმა დონალდ რამსფელდმა ერაყ-რუსეთის ვაჭრობის გაფართოებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა და განაცხადა, რომ ეს ტერორისტულ სახელმწიფოსთან მოსკოვის კავშირს გაამყარებს და რუსეთის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების დაბანდებას შეუშლის ხელს. **"რუსეთის ახლო ურთიერთობების დემონსტრირება ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა ერაყი, სირია, კუბა და ჩრდილოეთ კორეა, მთელ მსოფლიოს აძლევს იმის სიგნალს, რომ ტერორისტულ ქვეყნებთან საქმის დაჭერა სასარგებლოა,"** - განაცხადა პენტაგონის ხელმძღვანელმა. მან ამის შესახებ კომენტარი ტეხასში, ფორტ-ჰუდის სამხედრო ბაზაზე ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას გააკეთა. მანამდე კი რამსფელდი აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ამ უკანასკნელის რანჩოში შეხვდა. **"მე არ ვფიქრობ, რომ რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა გაუარესდება, რადგან მიმაჩნია, რომ რუსეთის ხელისუფლება პრაგმატულად იაზროვნებს და ერაყთან კავშირს აშშ-სთან ურთიერთობას ამჯობინებს,"** - დასძინა რამსფელდმა.

ერაყთან და ირანთან რუსეთის დაახლოება ასევე ნეგატიურად შეაფასა აშშ-ს სენატის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ ჰენრი ჰაიდმა. **"ბოლო პერიოდში აშშ-რუსეთის ურთიერთობები საგრძნობლად გაუმჯობესდა და დასანანი იქნება, თუ, შემდგომი გაღრმავების ნაცვლად, ისევ "ცივი" პერიოდი დაიწყება,"** - დასძინა ამერიკელმა კონგრესმენმა.

რუსეთი სიამოვნებით თანამშრომლობს "ბოროტების ღერძის" მესამე სახელმწიფოსთან – ჩრდილოეთ კორეასთანაც. ამის დასტურია კიმ ჯონ ილის მიმდინარე ვიზიტი შორეულ აღმოსავლეთში.

# ბარზანი: "თურქეთის არმიას დავმარხავთ"

21 აგვისტოს ერაყის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის (ერაყის ქურთისტანის ორიდან ერთი მთავარი დაჯგუფება) ლიდერმა მასუდ ბარზანიმ განაცხადა, რომ "დამარხავს თურქეთის არმიას," თუ ის ჩრდილოეთ ერაყში შესვლას გაბედავს. ბარზანი ამტკიცებს, რომ თურქებს ჩრდილოეთ ერაყის ქალაქ მოსულისა და მისი მიმდებარე ოლქების ხელში ჩაგდება სურთ. ბარზანი ამას წინათ აშშ-ს ხელისუფლებასაც წაეკიდა, როდესაც უარი განაცხადა, დასწრებოდა ლონდონსა და ვაშინგტონში ერაყის ოპოზიციის წარმომადგენლების გამართულ შეხვედრებს.

საერთოდ, ფიქრობენ, რომ მიუხედავად სადამისადმი ბიოლოგიური ზიზღისა, ერაყელი ქურთები ამერიკის შესაძლო სამხედრო ოპერაციას მხარს არ დაუჭერენ. დღეს ისინი, ალბათ, საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფებიან. აშშ-სა და ბრიტანეთის ავიაცია მათ ჰუსეინის მხრიდან ანგარიშსწორებისაგან იცავს. თურქეთი, რიგი ფაქტორების გამო, იძულებულია, მათ ფაქტობრივ დამოუკიდებლობას შეურიგდეს. თანაც, ერაყ-თურქეთის საზღვარზე კონტრაბანდით (და, როგორც ამბობენ, ნარკოტიკებით) ვაჭრობითაც ისინი დიდძალ ფულს შოულობენ.

აშშ-ერაყის ომის შემთხვევაში კი მათ არც ერთი შედეგი არ აძლევთ ხელს: ან სადამი გაიმარჯვებს და ქურთებზე მწარედ იძიებს შურს, ან - ამერიკა და ქურთებს მოუწევთ, მის მიერ შექმნილ ერაყის ახალ მთავრობას დაემორჩილონ.

ბარზანის საპასუხოდ გაკეთებულ განცხადებაში თურქეთის პარლამენტის სპიკერმა, სოქმენოღლუმ აღნიშნა, რომ თურქეთს, მართალია, არავითარი ექსპანსიონისტური გეგმები არა აქვს, მაგრამ ერაყში ქურთული სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში, მასთან ომი გარდაუვალი იქნება.

# ინდოეთი "დიდი თამაშის" მონაწილე ხდება

გაზეთ "აირიშ ტაიმსის" ცნობით, ინდოეთმა ტაჯიკეთში, ავღანეთის საზღვართან ახლოს სამხედრო ბაზა დააარსა. ინდოეთის სამხედრო და დიპლომატიურმა წრეებმა ნიუ-დელიში განაცხადეს, რომ ტაჯიკეთში, ფარხორის რაიონში მდებარე ინდოეთის სამხედრო ბაზას ოპერატიული ფუნქცია ექნება. ეს ამ ქვეყნის პირველი საზღვარგარეთული სამხედრო ბაზაა და იგი მაისიდან ფუნქციონირებს. მისი გახსნის შესახებ შეთანხმება აპრილში დუშანბეში ინდოეთის თავდაცვის მინისტრის ჯორჯ ფერნანდესის ვიზიტისას დაიდო.

ინდოეთის თავდაცვის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ყოფილი ხელმძღვანელის, კომოდორ ჯასჯიტ სინგჰის განცხადებით, აღნიშნული ბაზის მეშვეობით ინდოეთი აპირებს ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარება მიაწოდოს ავღანეთს (საყურადღებოა ისიც, რომ ტაჯიკეთის საზღვრის ახლოს განლაგებული ჩრდილოეთის ალიანსის ჯარები გასულ წლამდე ინდოელთა მოსისხლე მტრებს, პუშტუნებს ებრძოდნენ). ბაზის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის ფაქტი, რომ გასული წლის დეკემბერში ინდოეთმა და პაკისტანმა ერთმანეთს საკუთარი საჰაერო სივრცეები ჩაუკეტეს.

ექსპერტთა აზრით, ტაჯიკეთში სამხედრო ბაზის დაარსებას უფრო შორს მიმავალი მიზნებიც აქვს. ამ ფაქტით ინდოეთი ადასტურებს, რომ იგი შუა აზიის ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის დაწესებისათვის გამართული "დიდი თამაშის" მონაწილე ხდება, და როგორც დიდი რეგიონული სახელმწიფო, "თავის წილს" მოითხოვს.

რაც შეეხება ტაჯიკეთს, იგი ძალიან სუსტი ქვეყანაა იმისათვის, რომ მასზე გაცილებით ძლიერ მეზობელს ამგვარ მოთხოვნაზე უარი უთხრას, თანაც, კომპენსაციის სახით, ინდოეთი ტაჯიკ ოფიცრებს მოამზადებს და მათ ინგლისურ ენას ასწავლის.

# "აბუ-საიაფის" ტერორისტებმა იეღოველებს თავები მოჰკვეთეს

ფილიპინებში "ალ ქაიდასთან" დაახლოებულმა მუსლიმმა აჯანყებულებმა სამშაბათს მოტაცებული ექვსი იეღოველიდან ორს თავები მოჰკვეთეს. მოკვეთილი თავები ფილიპინების ქალაქ ჯოლოს ბაზარში იპოვეს. ფილიპინების ტერორისტულმა ორგანიზაციამ "აბუ საიაფიმ," აშშ-ს არმიის ამ ქვეყანაში შესვლის შემდეგ, პირველი ტერორისტული აქტი განახორციელა და სამშაბათს, 20 აგვისტოს ექვსი იეღოველი მოიტაცა. მათგან ოთხი ქალია. პოლიციამ მოკვეთილი თავების იდენტიფიცირება მოახდინა და მათი სახელები გამოაქვეყნა: ლემუელ ბატოლო და ლეონელ მანტიკი. სამართალდამცავების განცხადებით, ტემანტიკის 23 წლის მეუღლეც ტერორისტების ტყვეობაში იმყოფება.

# პედიატრიის ინსტიტუტს პატრიარქის იმედი აქვს

ეკატერინე ბახუტაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 მაისის ბრძანებულებით ფალავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ბავშვთა კლინიკური საავადმყოფო, რეაბილიტაციის ცენტრი, ბავშვთა მე-5 საავადმყოფო და "რესპუბლიკა" სარეორგანიზაციო დაწესებულებათა ნუსხაში მოხვდნენ, რაც ამ დაწესებულებების შეერთებას ითვალისწინებს. ამ პროცესიდან თავის დაღწევის მიზნით პედიატრიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა თხოვნით მიმართეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რათა მათი ინსტიტუტი საპატრიარქოს გადასცენ. სამინისტრო პასუხის გაცემას არ ჩქარობს, თუმცა, საქართველოს პედიატრიული საზოგადოების საბჭოს სხდომაზე ამ საკითხის განსახილველად მიწვეული მინისტრი ამირან გამყრელიძე კოლექტივის წინააღმდეგ არ წასულა. სხდომის შემდეგ თითქმის 3 თვე გავიდა. გაურკვევლობამ ინსტიტუტის კოლექტივი საპატრიარქოსთვის გადაცემის საკითხში დააეჭვა.

ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის სხვა დაწესებულებებთან მათი შერწყმა ინსტიტუტის გაუქმებას ნიშნავს. დირექტორის, თამაზ ჭურაძის განცხადებით კი, პედიატრიის ინსტიტუტი არც ერთ ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში არ გაუქმებულა. პირიქით, აზერბაიჯანსა და სომხეთში სახელმწიფო აფინანსებს. საქართველოში კი პედიატრიის ინსტიტუტს მუნიციპალური და ფედერალური ჯანდაცვის პროგრამებიდან დაფინანსება მოუხსნეს. არც რეზიდენტურის მომზადების უფლება აქვთ, რაც ასევე გარკვეული შემოსავალია.

ინსტიტუტში დარწმუნებული არიან: რეორგანიზაციის პროცესში მათი მოხვედრა იმან განაპირობა, რომ მათი შენობა მელიქიშვილის გამზირზე მდებარეობს. ფიქრობენ, რომ "რესპუბლიკაში" მათი გადასვლის შემთხვევაში შენობის პრივატიზაცია მოხდება და ქალაქში კიდევ ერთი სასტუმრო ან კაზინო გაჩნდება. გარდა ამისა, რეორგანიზაციის შემთხვევაში ქალაქის ცენტრი, ასევე ბაგების, წყნეთის და კრწანისის მოსახლეობა ბავშვთა სტაციონარული დაწესებულების გარეშე დარჩება.

5 დაწესებულების რეორგანიზაციის შემდეგ ვაკანტურ ადგილებს კონკურსის წესით დაიკავებენ. ინსტიტუტის თანამშრომლებს იმედი არა აქვთ, რომ კადრებს ობიექტურად შეარჩევენ. ჭურაძის განცხადებით, ინსტიტუტის თანამშრომელთა უმეტესობა 60 წელს გადაცილებულია. მათ დიდი გამოცდილება აქვთ, მაგრამ კონკურსში ვერ მოხვდებიან. ამჟამად იქ 160 თანამშრომელი მუშაობს, რომელთა უკან ოჯახები დგას. ჭურაძის თქმით, დაწესებულების საპატრიარქოსთვის გადაცემის მოთხოვნით მათ პრეზიდენტსაც მიმართეს, მაგრამ კანცელარიიდან მათი წერილები სამინისტროში ბრუნდება. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მათ მხარდაჭერას ჰპირდება. მან მინისტრ გამყრელიძეს ინსტიტუტის საპატრიარქოსთვის გადაცემაზე წერილობით აცნობა, თუმცა, პასუხი არ მიუღია. ინსტიტუტმა ახლახან კიდევ ერთხელ მიმართა კათალიკოს-პატრიარქს, უშუამდგომლოს პრეზიდენტის წინაშე. დაწესებულების თანამშრომლები თანახმა არიან, თვითონ გამოძებნონ ინსტიტუტის არსებობისთვის საჭირო ფინანსები. მაგრამ თუ საპატრიარქოს არ გადასცემენ, სერიოზულ ზომებს მიიღებენ. **"ექიმებმა მარტო ხუმრობა არ იციან, ექიმები ბრაზდებიან კიდეც",** - გვითხრეს ინსტიტუტში.

67 წლის ისტორიის მქონე ინსტიტუტის, რომელიც თავის დროზე ამიერკავკასიაში ერთადერთი იყო, სამომავლო განვითარებაზე განსხვავებული შეხედულება აქვს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ამირან გამყრელიძეს.

**"სამინისტროს სურს, საქართველოში პედიატრიის კარგი ცენტრი იყოს. მელიქიშვილის ქუჩაზე თანამედროვე სტაციონარის მოწყობა წარმოუდგენელია. იგი მხოლოდ 20-30 წლის წინანდელ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. სამომავლოდ ძირითადი სტაციონარები თბილისის ოთხ უბანში იქნება და იქ მისვლას 20 წუთი დასჭირდება. არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, ინსტიტუტის შენობა გაიყიდოს, საიდანაც შემოსული თანხა გამოთავისუფლებული თანამშრომლების კომპენსაციებს მოხმარდება. თითოეული მათგანი 1000-2000 ლარს მიიღებს",** - აღნიშნა საუბრისას გამყრელიძემ.

# სკოლები კატეგორიის მინიჭებით ვერ აშენდება

ეთერ მამულაშვილი

108-ე საშუალო სკოლა, სადაც 1500-მდე მოსწავლე სწავლობს, ვარკეთილში მდებარეობს. წელს, სკოლა, დაახლოებით, 100-მდე პირველკლასელს ელოდება. როგორც დირექტორი, თემურ ბერუჩაშვილი ამბობს, მოსწავლეების სკოლაში ყოფნა რისკთან იქნება დაკავშირებული. შენობის თითქმის ყველა კედელი დაბზარულია, რამდენიმე საკლასო ოთახში ჭერია ჩამოწოლილი, სახურავიდან წყალი ჩამოდის, სკოლის ერთი კიბე მთლიანად მწყობრიდან არის გამოსული.

მიწისძვრამ 108-ე სკოლა ორმაგად დააზარალა. სახურავზე თუნუქის საფარმა დაშლა დაიწყო, გაიზარდა ბზარების რაოდენობა, სახურავიდან წყლის ჟავლმაც საგრძნობლად იმატა, დაიკეტა შვიდი ოთახი, ორი საპირფარეშო, სკოლის ერთ-ერთ კორპუსში გავლაც კი აიკრძალა. მერიის შესაბამისმა სამსახურებმა დაზიანებული შენობა მეორე კატეგორიას მიაკუთვნეს, თუმცა სკოლის შესაკეთებლად ჯერ ერთი თეთრიც არ გამოყოფილა.

"მერიის გარდა, განათლების სამინისტროდანაც იყვნენ მოსულები. კარტოზიამაც ნახა ჩვენი სკოლის მდგომარეობა. დაგვპირდა, რომ სექტემბრამდე ყველაფერი მოგვარდებოდა, მაგრამ თქვენი თვალითაც ხედავთ, რომ არაფერი გაკეთებულა. გვეუბნებიან, ფული არ არისო, ვაკე-საბურთალოს სკოლებისთვის საჭირო თანხები ხომ კარგად მოიძებნა. ჩვენ კი იმის მინიმუმს მოვითხოვთ, რაც სკოლას რეალურად სჭირდება. მასალა მაინც მოგვცენ და ჩვენ საკუთარი ძალებით გავარემონტებთ შენობას. ღმერთმა დაიფაროს და სულ მცირე ბიძგმაც კი, შეიძლება, რამდენიმე ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლოს. მერე პასუხისმგებლები ჩვენ უნდა ვიყოთ?!", - აღშფოთებულია თემურ ბერუჩაშვილი.


108-ე სკოლა
იური ლობოდინის ფოტო

სკოლის ხელმძღვანელობამ საკუთარი ხარჯებით რამდენიმე ტომარა ცემენტისა და ორიოდე მეტრი ტოლის ყიდვა მოახერხა. მერიის განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურში დაგვიდასტურეს, რომ ამ სკოლისადმი უყურადღებობა უსახსრობით არის გამოწვეული, "ბიუჯეტიდან სკოლების აღსადგენად კი არის თანხები გამოყოფილი და დამტკიცებული, მაგრამ ჩვენამდე ჯერ არ მოუღწევია. თბილისში მეორე კატეგორიის სულ 115 ავარიული სკოლაა. დაახლოებით, 20 აგვისტოს გვეცოდინება ამ სკოლებიდან, წელს, რომლის აღდგენას მოვახერხებთ", - გვითხრა ამ სამსახურის უფროსის მოადგილემ ზურაბ ქოჩიაშვილმა.

# სანიტარული ინსპექცია "სანიტარ" ქალბატონებს ეძებს

თამარ მაისურაძე

თბილისში ორი თაღლითი ქალბატონი დადის. ისინი თავს ასაღებენ ქალაქის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ცენტრის თანამშრომლებად, ამოწმებენ საზკვებისა და სავაჭრო ობიექტებს, ადგენენ ოქმებს. ხალხს ატყუებენ, პირდებიან, მოვალთ და დეზინფექციას ჩავატარებთო. ართმევენ ფულს და იკარგებიან. ანალოგიური წესით, მოსახლეობას ბინებში აკითხავენ. ერთი სიტყვით, ორმა კაბიანმა თაღლითმა ფულის კეთების ახალი, ორიგინალური ფორმა აირჩია. არავინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა მათი ფარული ბიზნესი, შემთხვევით ერთ-ერთ სავაჭრო ობიექტზე შესამოწმებლად ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია რომ არ მისულიყო. ინსპექციის თანამშრომლებს, გლდანში შესამოწმებელი ობიექტი "შემოწმებული" დახვდათ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ქალბატონების მიერ. ობიექტის უფროსმა ისიც აღიარა, რომ მათთან გარიგებაზე წავიდა და დარღვევების დასაფარავად გარკვეული რაოდენობის თანხაც გადაუხადა. ამ ამბის გამოაშკარავების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ მათ მსგავსი "შემოწმება", დეზერტირების ბაზართან, რამდენიმე ობიექტშიც ჩაუტარებიათ. მთაწმინდაზე კი შემოწმების ფაქტს სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის თანამშრომელი შემთხვევით შესწრებია, მაგრამ თაღლითებს გაქცევა მოუხერხებიათ. თბილისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია შეშფოთებულია ამ ფაქტებთან დაკავშირებით. ინსპექციის ხელმძღვანელის ჯულული ახვლედიანის თქმით, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ცენტრი საერთოდ არ არსებობს. **"ეს ქალბატონები არარსებული ორგანიზაციის სახელით მოქმედებენ. თავიანთ ბლანკზე მისამართი აქვთ მითითებული, მიცკევიჩის ქუჩა N38, მაშინ როცა, ეს ქუჩა 30 ნომრით მთავრდება. ბლანკზე წერია მათი ტელეფონის ნომერიც, რომელიც ერთ-ერთ ოჯახს ეკუთვნის. ეს თაღლითები ჩემი სახელით დადიან, თითქოს მათ მე ვაგზავნი შემოწმებაზე. ამდენად, მინდა გავაფრთხილო ყველა მეწარმე, განსაკუთრებით ყურადღებით იყვნენ ობიექტში მაკონტროლებელი ორგანოების შეშვების დროს. სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის თანამშრომელმა ობიექტის შემოწმებისთვის მეწარმეს უნდა წარუდგინოს ინსპექციის უფროსის მიერ ხელმოწერილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, მოსამართლის ბრძანება შემოწმების ნებართვის თაობაზე, დანომრილი აქტი და ინსპექციის განყოფილების გამგის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული მანდატი ექიმ-ინსპექტორის მიერ მათი ობიექტის შემოწმების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოწმება უკანონოა და ასეთი პირი ობიექტში არ უნდა შეუშვან,"** – გვითხრა ჯულული ახვლედიანმა, რომელიც თხოვნით მიმართავს მეწარმეებს, ამ ქალბატონების გამოჩენის შემთხვევაში სასწრაფოდ დაუკავშირდნენ სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციას.

ამ თაღლითების წინააღმდეგ მხოლოდ სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია იბრძვის, რადგან პოლიციაში საქმის აღსაძვრელად პიროვნებების დასახელებას ითხოვენ. **"მათ შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს. არ ვიცით მათი ვინაობა. იმ შემთხვევაში, თუ მიახლოებით გავიგებთ რამეს ამ ორი ქალბატონის შესახებ, აუცილებლად პოლიციას მივმართავთ,"** – გვითხრა დასასრულს ჯულული ახვლედიანმა.

## სამართალი

# უცხოელების დაყაჩაღების ორი საქმე გახსნილია

ხათუნა ჯანგირაშვილი

ცოტა ხნის წინ, გენერალური პროკურორის მითითების საფუძველზე, თბილისის პროკურატურამ საქართველოში უცხოელ მოქალაქეთა მიმართ ჩადენილი დანაშაულობები შეისწავლა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ შექმნილი რთული ოპერატიული მდგომარეობის მიუხედავად, სამართალდამცველების მხრიდან საგამოძიებო მუშაობა არაინტენსიურად მიმდინარეობს. გამომძიებლები მხოლოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერებით, ზედაპირული ოპერატიულ-საგამოძიებო გეგმების შედგენითა და დაზარალებულების უხარისხო დაკითხვით იფარგლებიან. მათ მიერ საქმეებზე შედგენილი ერთობლივი ოპერატიულ-საგამოძიებო გეგმებიც ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან ვერსიები, რომლითაც გამოძიება და ოპერატიული სამსახურები უნდა ხელმძღვანელობდნენ, სწორად არ არის შემუშავებული და მათი ერთობლივი მუშაობაც არაფრისმთქმელი მიმოწერით შემოიფარგლება. გამოძიებასა და ოპერატიული სამსახურის საქმიანობაში შესუსტებულია პროკურატურის როლიც.

შედეგები სახეზეა – თითქმის ყოველდღე ახალ-ახალი უცხოელის გატაცება და მათი ძარცვა-დაყაჩაღება ხდება.

საქართველოში მცხოვრები უცხოელების მიმართ დანაშაული თანდათან მატულობს, გახსნილი საქმეების რიცხვი კი კლებულობს. უცხოელების მიმართ ჩადენილი დანაშაულებების საქმეები გენერალურმა პროკურორმა პირად კონტროლზე აიყვანა. აღნიშნული დანაშაულებების გამო საქართველოს იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე საგრძნობლად შეილახა. მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე გაუხსნელი და გაჭიანურებული საქმეებით შეწუხებულმა ქვეყნის პირველმა პირმა სამართალდამცველებს თითიც დაუქნია. ალბათ, სწორედ ამის შემდეგ გააქტიურდნენ პოლიციელები და უცხოელებზე მონადირე ქართველების წინააღმდეგ თავგამოდებული ბრძოლა გამოაცხადეს. შედეგმაც არ დააყოვნა და ერთ დღეში ორი დანაშაული გაიხსნა.

გუშინწინ ვაკე-საბურთალოს პოლიციამ ოპერატიული ინფორმაციის მიღებისთანავე, ცხელ კვალზე მიაგნო პაკისტანის მოქალაქის ბინის მძარცველს, ქუთაისელ რამაზ გაბელაშვილს, რომელმაც დილით ჩადენილი ქურდობა აღიარა. პაკისტანელი შაჰ ჰუსეინის სახლიდან, რომელიც უცხოელს ვაჟაფშაველას გამზირზე აქვს დაქირავებული, გაბელაშვილმა პირადი ნივთებისა და ვიდეოაპარატურის გატანა მოახერხა. გავრცელებული ინფორმაციით, რამაზ გაბელაშვილი ე. წ. "შავი სამყაროს" წევრობისთვის ემზადებოდა.

გუშინწინვე უცხოელების დაყაჩაღების კიდევ ერთი საქმე გაიხსნა. ჩეხი ტურისტების გაძარცვისთვის ძებნილი პოლიციამ დუშეთის რაიონის ტერიტორიაზე დააკავა. ლევან ქეთელაურმა ჩეხი მოქალაქეები, ჯერ კიდევ მიმალვაში მყოფ მეგობართან ერთად, დუშეთის რაიონის სოფელ როშკასთან გაძარცვა. გამოძიებას ჯერჯერობით ხელს უშლის ის გარემოება, რომ რამდენიმე დღის წინ გაძარცული ჩეხები ამჟამად საქართველოში არ იმყოფებიან, რის გამოც შეუძლებელია ამოცნობისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

როგორც მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა გვითხრა, გამოძიება ჩეხეთის საელჩოს დახმარებას ელოდება. ვინაიდან დაზარალებული ჩეხების პოზიცია, დამნაშავესთან დაკავშირებით, ჯერჯერობით უცნობია, დაკავებული დროებით პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ გაათავისუფლეს.

# დაკავებულს მეხუთედ გაასამართლებენ

გუშინ პოლიციამ განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი ჯემალ აბლოთია დააკავა. რამდენიმეთვიანი ძებნის შემდეგ სამართალდამცველებმა აბლოთიას ზუგდიდში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფს მიაგნეს. მთვრალი დამნაშავე ქუჩაში გამვლელებს აწუხებდა და კანონდამცველთა ყურადღება მიიქცია. როგორც გაირკვა, აბლოთია თვეების განმავლობაში ზუგდიდში მეგობართან იმალებოდა. 11 იანვრის შემდეგ კი მას სამართალდამცველები თბილისში ეძებდნენ. ეს სწორედ ის დღეა, როცა საღამოს საათებში გურამიშვილის გამზირზე ჯემალ აბლოთიამ "მერსედესის" ტიპის სამარშრუტო ტაქსის ერთ-ერთ მგზავრს ჩასვლისას ჩანთა ჩამოგლიჯა. დაზარალებულმა იყოჩაღა და მძარცველი დაიჭირა. მოხდა შელაპარაკება, რასაც ცოტა ხანში ხელჩართული ბრძოლა მოჰყვა. შემთხვევის ადგილზე შემთხვევით გლდანი-ნაძალადევის პოლიციის ორი თანამშრომელი აღმოჩნდა, რომლებიც ჩხუბში ჩაერივნენ. ჯემალ აბლოთიამ, ყველასგან მოულოდნელად, ხელყუმბარა გახსნა და ააფეთქა, რასაც ორი პოლიციელისა და ექვსი მგზავრის სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვა. აფეთქებულ ხელყუმბარას თავად მძარცველის ხელის მტევანიც შეეწირა.

რვა თვის მანძილზე ძებნილი ჯემალ აბლოთია, სხვადასხვა დანაშაულებების გამო, ოთხჯერ იყო ნასამართლევი. ის ამჟამად ზუგდიდის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. სამართალდამცველები თბილისში მას ორ დღეში ჩამოიყვანენ.

"24 საათი"

# კრიმინალის თბილისში მოდად ქცეული სახეობა

პირველი გვერდიდან

პოლიციის სტატისტიკური მონაცემებით, წელს თბილისში 2634 დანაშაული მოხდა; გაიხსნა 2186; მომხდარი 789 მძიმე დანაშაულიდან სამართალდამცველებმა 666-ის გახსნა მოახერხეს. **"სტატისტიკას თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ დანაშაულის მატებაა 465-ს შეადგენს. ესეც იმის გამო, რომ ყველა მომხდარი დანაშაული სახელმწიფო აღრიცხვაზე დგება, შს მინისტრი სტატისტიკის შელამაზების კატეგორიული წინააღმდეგია,"** – ამბობს დავით კეკუა.

დავით კეკუამ პოლიციის მუშაობის გამჭვირვალობის დასტურად ჟურნალისტებს გუშინწინ, გვიან ღამით მომხდარი მორიგი ყაჩაღობის ფაქტები გააცნო, ბოლო პერიოდში თბილისში მოდად ქცეული კრიმინალის - ტაქსების დაყაჩაღების შესახებ.


დავით კეკუა
ლევან ხერხეულიძის ფოტო

21 აგვისტოს პოლიციამ დააკავა ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ჯგუფის წევრები - ზურაბ ბაბლიძე, გიორგი ბაზიერაშვილი, ვალერი პაპავა და ლევან არაბული. მათ 20 აგვისტოს, ღამის 9 საათზე ელიავას ბაზრობასთან გააჩერეს "ჟიგულის" მარკის ავტომანქანა და ტაქსის მძღოლს თბილისის ზღვაზე წაყვანა სთხოვეს. გლდანის სასაფლაოსთან ტაქსის მძღოლი დანის მუქარით ავტომანქანის უკანა სალონში გადასვეს და ფული და პირადი ნივთები წაართვეს. მძღოლის ადგილი მანქანაში ერთ-ერთმა თავდამსხმელმა, ბაზიერაშვილმა დაიკავა. ყაჩაღთა ჯგუფი თბილისიდან გატაცებული მანქანითა და დატყვევებული მძღოლით მარტყოფში გაემგზავრა. სოფელ ახალსოფელთან მათ გააჩერეს შპს "მარტყოფის" მძღოლი, მერაბ ლაშხი, დანის მუქარით წაართვეს ფული, მანქანა და, მძევლად აყვანილ მეორე მძღოლთან ერთად, თბილისში გამოემგზავრნენ. იმავე სცენარით მათ ამჯერად ბეჟანიშვილის ქუჩაზე დააყაჩაღეს მორიგი მანქანა და მძღოლი.

ყაჩაღობაში ეჭვმიტანილები პოლიციამ, ნაძარცვთან ერთად, ბეჟანიშვილის ქუჩაზევე დააკავა. დაკავებულები ამჟამად თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან.

თბილისის შერიფის მოადგილემ მცხეთის ხიდზე მომხდარი სპეცოპერაციის შედეგსაც გაუკეთა კომენტარი. უფრო ზუსტად, გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მოკლული ლუხუმ ჯახიას ახლობლები სასამართლოში ჩივილს აპირებენ: **"ჩემთვის ცოტა გაუგებარია, რაზეა საუბარი... ოქროს ბირჟის დაყაჩაღებისთანავე შეიქმნა შტაბი, შედგა გეგმა, ყველა ეტაპს ხელმძღვანელობდა მინისტრი. გაკეთდა ყველაფერი, რათა დამნაშავეს ხელყუმბარა ჩაებარებინა, მძევლები გაეთავისუფლებინა და ჩაგვბარებოდა, ასეთ შემთხვევაში მასზე კანონით გათვალისწინებული შეღავათები გავრცელდებოდა. ლუხუმ ჯახიას თბილისის პროკურორმაც მისცა წინადადება. მას სასულიერო პირმაც შესთავაზა მძევლების გათავისუფლება და მათ მაგივრად ჩაბარება, რაზეც ჯახიამ უარი განაცხადა, ფაქტობრივად, არც დაელაპარაკა მღვდელს.**

**ჩვენთვის მთავარია ადამიანის სიცოცხლე. მერწმუნეთ, ყველა ადამიანური ზომა, ყველა საშუალება გამოყენებული იყო, რათა შენარჩუნებულიყო ადამიანის სიცოცხლე. სამწუხაროდ, მისი მხრიდან არანაირი თანხმობა არ გამოთქმულა. ამიტომაც 17-საათიანი ოპერაცია ასე ტრაგიკულად დასრულდა,"** – განაცხადა დავით კეკუამ.

# ძმებმა ესროლეს, პოლიციელებმა კი – სცემეს

თამარ კაციტაძე

**"არ შეიძლება, კრიმინალები ეროვნების მიხედვით განვასხვავოთ და ამავე მიზეზით დავიცვათ",** – განაცხადა სახელდახელოდ გამართულ პრესკონფერენციაზე მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის უფროსმა პაატა ჟღენტმა.

საინფორმაციო გადაცემა "კურიერში" ხელკეტებით სასტიკად ნაცემმა, თბილისში მცხოვრებმა აზერბაიჯანელი ეროვნების ელდარ მამედზადემ განაცხადა, რომ იგი პოლიციამ ეროვნულ ნიადაგზე სცემა. დაზარალებული ხელს ზვიად გამსახურდიას შვილის, გიორგი გამსახურდიასკენ იშვერს.

აღნიშნული ფაქტისთვის სიცხადე რომ მოეფინათ, ჟურნალისტები რაიონის პოლიციაში მიგვიწვიეს. მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის შერიფის ინფორმაციით, სამასი არაგველის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე, გრიშაშვილის ქუჩაზე, ანუ იმ ტრასაზე, სადაც პრეზიდენტის კორტეჟი მოძრაობს, ორი დღის წინ, ღამით სროლა გაისმა. შემთხვევის ადგილზე იქვე მყოფი სამთავრობო დაცვის წევრი, დავით გვიშიანი მივიდა. აღმოჩნდა, რომ ნასვამი ძმები ელდარ და ემზარ მამედზადეები ჩხუბობდნენ. დაცვის სამსახურის თანამშრომლის გამოჩენა, ეტყობა, ელდარ მამედზადეს არ ესიამოვნა და იარაღიდან მასაც ესროლა. გვიშიანმა დასახმარებლად მთაწმინდა-კრწანისის პოლიციიდან კოლეგებს მოუხმო. სამი პოლიციელის - მღებრიშვილის, ხოხობაშვილისა და სანთელაძის დანახვამ ძმები და მათი მეზობლები კიდევ უფრო გააღიზიანა და სამართალდამცველებს, რომლებიც ჩხუბისთავებს საზოგადოებრივი წესრიგისკენ მოუწოდებდნენ, ჯერ აგინეს და შემდეგ სცემეს. დაჩაგრულ კოლეგებს უკვე სერიოზულად მობილიზებული თანამშრომლები მიეშველნენ, მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის პირველი განყოფილების უფროსის მოადგილის, გიორგი გამსახურდიას მეთაურობით. ვიდრე პოლიციელები მამედზადეებს დაიმორჩილებდნენ და განყოფილებაში მიიყვანდნენ, კანონის პატივისცემის გაკვეთილი ხელკეტებით იქვე, დანაშაულის ადგილას ჩაუტარეს. ამასობაში ერთ-ერთმა ძმამ დრო იხელთა და მიიმალა. ემზარ მამედზადე კი დღესაც დაკავებულია და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურას ჩვენებას აძლევს.


დაზარალებული პოლიციელები
მარიკა ამურველაშვილის ფოტო

პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით საქმე სწორედ აღნიშნულ პროკურატურაშია აღძრული. გამოძიებამ უკვე მოახერხა ელდარ მამედზადეს კუთვნილი "ბრაუნინგის" ტიპის პისტოლეტისა და ორი გასროლილი მასრის ამოღება. თავად იარაღის პატრონზე კი ძებნაა გამოცხადებული.

თანამშრომელთა მხრიდან ძალის გამოყენების ფაქტს კანონის ფარგლებში მოქმედებით ხსნის პოლიციის უფროსი პაატა ჟღენტი. უფროსის აზრს ეთანხმება გიორგი გამსახურდიაც და მიიჩნევს, რომ მისი რეპუტაციის შელახვით გარკვეული ძალები არიან დაინტერესებულნი.

www.24hours.ge 24 B

# „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს"

## „ჩვენ ეზოში" ყველაფერს ერთი „ვიგაცა" ურევს


ბესო


ციცო


გუბაზი


ის


კუსა


რეზო

ნანა ბასილაშვილი

**პირველ ანიმაციურ ტელესერიალში ქართული სინამდვილე, შეიძლება ითქვას, მეტისმეტად რეალურ ფერებში აისახა. მის რეჟისორსა და სცენარისტებს არ დასჭირვებიათ ზღაპრული გმირების გამოგონება. პერსონაჟები, სიტუაციები და ისტორიები, ყველაფერი, შეფარვითა თუ პირდაპირი ფორმით, ჩვენს დღევანდელობას ეხმაურება.**

პირველად იყო "დარდუბალა", რომელმაც ტელემაყურებლებში საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა. მართალია, იგი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ მალე ეკრანებზე ახალი ანიმაციური ტელესერიალი გამოჩნდა. "დარდუბალასგან" განსხვავებით, "ჩვენი ეზო" ტელემაყურებელმა შედარებით ნელა აითვისა, მაგრამ ამას შემოქმედებითი ჯგუფის ენთუზიაზმზე უარყოფითად არ უმოქმედია, მათ უკვე 35 სერია გადაიღეს. ორივე სერიალში, თითქოს, თემა, პრობლემა და პერსონაჟები ერთია, მაგრამ "ჩვენი ეზო" "დარდუბალასგან" განსხვავებით პოლიტიკურ მიზნებს არ ატარებს. თუმცა, იმასაც ვერავინ იტყვის, ეს სერიალი აპოლიტიკურიაო. და მაინც, "ჩვენი ეზო" უფრო სატირად და ალეგორიად შეიძლება მივიჩნიოთ. მის პოლიტიზირებულ სცენარებს ბევრი რამ განაპირობებს; პირველ რიგში ის, რომ პოპულარობის მოსაპოვებლად პოლიტიზირება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. შეიძლება პოპულარობა მეორეხარისხოვანი იყოს, მაგრამ ძნელია, ამჟამად საქართველოში არსებული ვითარების გამო პროტესტის გრძნობა არ გაგიჩნდეს. "ჩვენი ეზოს" ავტორებმა თავიანთი პროდუქცია კორუმპირებული ჩინოვნიკების მხილების მიზნით შექმნეს. თუმცა, ერთია მიზანი, ხოლო მისი განხორციელებისათვის შესაბამისი პირობებია საჭირო; საამისო შესაძლებლობებით კი შემოქმედებითი ჯგუფი (ყოველ შემთხვევაში, თავიდან) ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად 13-კაციანი ჯგუფი ყოველკვირეულ 10-15 წუთიან სერიას ამზადებს. შეიძლება ითქვას, რომ მათი მეშვეობით გაცოცხლდა ქართული ანიმაციური ფილმი და საფუძველი ჩაეყარა ქართულ მულტსერიალს.

"ჩვენ ეზოში" (სადაც პირობითად, ჩვენი რეალური ეზო, სახლი და ქვეყანა იგულისხმება) სხვადასხვა ტიპის ადამიანები ცხოვრობენ: ჭკვიანი, სულელი, ძველი ბიჭი, ინტელიგენტი, ცოტა სხვა ფერის და ა.შ. ყველას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი თვისება, უნაკლო არავინაა. ხშირად მოსდით ერთმანეთში ჩხუბი და დავა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად ისინი კეთილი და მოსიყვარულე ადამიანები არიან, პატივს სცემენ ერთმანეთს, შეხმატკბილებულად ცხოვრობენ და უვლიან საკუთარ ეზოს. მაგრამ მათთან ერთად ცხოვრობს "ვიღაცა", რომელსაც "ჩვენ ეზოში" არეულობა შეაქვს. "ხშირად ვეძებთ ქვეყანაში არეულობის მიზეზებს გუბაზის, რეზოს, ან მიშასნაირებში. მე მინდოდა ადამიანებისათვის მეჩვენებინა, ვინ ვინ არის, მეთქვა ის, რომ ყველანაირი არეულობის მიზეზი აი, ის ერთი ვიღაცაა. მხოლოდ ამ კონკრეტულ პიროვნებაზე არ მინდა ყველაფრის გადატანა, რადგანაც ასეთები "ჩვენ ეზოში" სამწუხაროდ, ბევრია. თუმცა, ყველაფერი საბოლოოდ მაინც მისგან მოდის,"- ამბობს სერიალის რეჟისორი გია ჭანტურია.

ასეთი თამამი და ხმამაღალი განცხადებები, რაც მათ პროდუქციაში აისახება, როგორც აღმოჩნდა, სულაც არ აშინებთ. მათი აზრით, უნდა ეშინოდეთ იმათ, ვისკენაც ეს სერიალია მიმართული.

თემატიკის მიხედვით სერიალი თითქმის ყოველთვის აქტუალურია. "ვცდილობთ, ვუპასუხოთ და გამოვეხმაუროთ ყოველდღიურ სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ საზოგადოებრივ მოვლენებს, რასაც შემდეგ ფაბულად ვირჩევთ და შეძლებისდაგვარად ალეგორიულად ვსაუბრობთ. ახალს არაფერს ვამბობთ, ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცის, უბრალოდ, არსებულ ვითარებას ჩვენი მხრიდან, ვფიქრობ, საინტერესო პოზიციით ვაფიქსირებთ. ვცდილობთ, გავითვალისწინოთ ხალხის აზრი, ის შეხედულებები, შეფასებები და კომენტარები, რაც მეტნაკლებად საზოგადოებაში დომინირებს. თან, ჩვენ საქმეს ვაკეთებთ, ჩვენი ხერხებით ვებრძვით კორუფციას (კორუფციასთან ბრძოლა ხომ ყველაფერ ცუდთან ბრძოლას ნიშნავს). ჩვენ გვიყვარს ჩვენი საქმე, იუმორი, ანალიზი, მუშაობა და ა.შ." – აღნიშნა კონსტანტინე მაღრაძემ, იგი საერიალის ერთ-ერთი სცენარისტია.

ნათქვამია, "ზოგი ჭირი მარგებელიაო". სერიალის რეჟისორმა აღიარა: რომ არა სწორედ ის "ვიღაცა" და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, არც "დარდუბალა" და არც "ჩვენი ეზო" არ შეიქმნებოდაო. თუმცა, იქვე დაამატა, ასეთ შემთხვევაში გაცილებით მაღალმხატვრული პროდუქცია იქნებოდა, რისი ინტერესიც ნორმალურ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს გაუჩნდებოდათო, მაშინ, ალბათ, სერიალში - "სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს", - პრინციპიც არ იქნებოდა.

მულტსერიალის შემოქმედებითი ჯგუფი პარალელურად ახალ პროექტზე მუშაობს. ისინი საბავშვო ანიმაციურ სერიალს ამზადებენ. თუკი მათი პროექტით ვინმე დაინტერესდება და ჩანაფიქრს განახორციელებენ, პირველად საქართველოში პატარები ყოველ საღამოს 7-8 წუთიან გასართობ-შემეცნებით ანიმაციურ სერიალს იხილავენ.

მოგზაურობა

# გასეირნება სუპერმარკეტში

ნინა გუჯაბიძე
კანადა, ვინიპეგი



ვთქვათ, მოგიწიათ კანადაში ჩამოსვლა; არა სტუმრად, არამედ საცხოვრებლად (მცირე ხნით მაინც). აუცილებლად დაგებადებათ კითხვა - სად შეიძლება საკვები პროდუქტების შეძენა? დაივიწყეთ ბაზარი, ჯიკაობა, ჭუჭყი, ჩხუბი, ათი თეთრის გამო ვაჭრობა და პირდაპირ სუპერმარკეტში წაბრძანდით.

სუპერმარკეტი უზარმაზარი მაღაზიაა, სადაც ყველაზე იაფად შეძლებთ საკვები პროდუქტების მოპოვებას. კანადაში სუპერმარკეტების დაყოფა სამ კატეგორიად შეიძლება: ძვირი, საშუალო და იაფი. რა თქმა უნდა, ყველაზე ძვირია კერძო მფლობელთა მცირე მაღაზიები; ასეთი მაღაზიები ხშირად სახლებთან ახლოს მდებარეობს, რაც ძალიან მოსახერხებელია. სუპერმარკეტში ფეხით ვერ მიხვალთ, ამ შემთხვევაში მანქანა სასიცოცხლო აუცილებლობა ხდება. სახელმწიფო საკუთრებას არც სუპერმარკეტი წარმოადგენს, მაგრამ, როგორც წესი, საფირმო სახელით სარგებლობს. ვთქვათ, როგორც MCDONALDS-ი. ყველა MCDONALDS-ს სხვადასხვა მფლობელი ჰყავს, რომელიც ვალდებულია, შეინარჩუნოს კორპორაციული იერსახე და იმიჯი.

დიდი მაღაზიების გარშემო მანქანების უფასო სადგომია გამართული. ხშირად, ურიკებიც იქვეა განლაგებული. მიბრძანდებით, ჩააგდებთ ხურდას სპეციალურ ყუთში და ურიკას აიღებთ. ურიკის დაბრუნებისას თანხაც მთლიანად გიბრუნდებათ. იმის საფასური, რომ პროდუქტები ურიკაზე დაახვავოთ და სტადიონის ზომის მაღაზიაში ხელით არ ათრიოთ, 25 ცენტია. შიგნით, სუპერმარკეტში კი ურიკა უფასოა.

ზაფხულობით საქართველოდან ჩამოსულებს გირჩევთ, მაღაზიაში რამე მოსაცმელი იქონიოთ. ხშირად გალურჯებულ კანადელებსაც მოჰკრავთ თვალს, განსაკუთრებით კი გაყინული ნახევარფაბრიკატების განყოფილების ტერიტორიაზე. მაღაზიაში, სიგრილის გარდა, გასაოცარი სისუფთავე დაგხვდებათ. ხალხი თავაზიანია – თუ ვინმეს შემთხვევით გზას გადაუღობავთ, ამისთვის ბოდიში უნდა მოუხადოთ და გზაც დაუთმოთ.

კანადელთა უმეტესობას კვირაში ერთხელ ე.წ. გასტრონომიული შოპინგის დღე აქვს. როგორც წესი, ერთიდაიგივე მაღაზიაში დადიან. საჭირო პროდუქტების სიას წინასწარ ადგენენ და ამ გრძელი სიებით ხელში, მიაგორებენ ურიკებს დახლებს შორის.

ხილ-ბოსტნეულის განყოფილება, განურჩევლად წელიწადის დროისა, ასორტიმენტის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მაღალფასიან სუპერმარკეტებში არჩევანი უფრო ეგზოტიკურია: ზამთარში შეიძლება თვალი მოჰკრათ ლეღვს, რომელიც ცალობით იყიდება და თითო ცალის ფასი ხშირად ორ დოლარამდეც კი ადის, ან კარალიოკ-ხურმას, რომელიც ასევე საკმაოდ ძვირია. მრავლადაა ტროპიკული ხილიც: მანგო, ავოკადო, კივი, ანანასი და კიდევ უცნობი დასახელების ბევრი სხვა ხილი. მათგან ბანანი ყველაზე იაფია. მარწყვი, ვაშლი, მსხალი, ვაშლ-ატამა და ჩვენთვის კარგად ცნობილი სხვა დასახელებები მთელი წლის განმავლობაში უხვად არის.

გენეტიკური ინჟინერიის განვითარებასთან ერთად ხილის გემოც და გარეგნული იერიც შეიცვალა. სულ ორიოდე წლის წინ, ზამთარში ნაყიდ მარწყვს არაფრის გემო არ ჰქონდა. ახლა კი პლასტიკური ყუთებიდანაც მადისაღმძვრელი სურნელი ამოდის და გემოც არაჩვეულებრივი აქვს. რომელი ცხოველის თუ მცენარის გენი აქვს შერეული, უცნობია. კანონის მიხედვით, პროდუქტს ზედ უნდა ეწეროს ყველა ქიმიური ელემენტი, რომელიც მის შემადგენლობაში შედის. გენეტიკურად მოდიფიცირებულ პროდუქტებზე ასეთი მოთხოვნა ჯერ არ არსებობს, ამიტომ მხოლოდ ვარაუდია შესაძლებელი.

კანადური ხორბლის ამბავი კი საქვეყნოდ არის ცნობილი. მას ზაზუნას გენი ურევია. იმის გამო, რომ ეს პატარა მღრღნელი ცხოველი მწერებით იკვებება, მისი გენი ხორბლის გენეტიკურ კოდს შეურიეს და ამის მერე მწერებთან ბრძოლის პრობლემაც გადაწყდა. თუმცა, ასეთი გენეტიკური თამაში ადამიანებზე რა გავლენას ახდენს, ჯერ კარგად არ არის ცნობილი. იმავე სუპერმარკეტებში შეგიძლიათ, შეიძინოთ სუფთა პროდუქტები, ანუ ყოველგვარი ქიმიური სასუქებისა და გენეტიკური ჩარევის გარეშე დამზადებული საკვები. თუმცა, მათი არჩევანი მნიშვნელოვნად შეზღუდული და ფასიც შესაბამისად მაღალია.

კანადის მთავრობა უფრო დიდ ყურადღებას აქცევს თავისი მოსახლეობის ჯანმრთელობას, ვიდრე შეერთებული შტატებისა. ამიტომ, არსებობს საკმაოდ მკაცრი კომისია, რომელიც ფერმერებს აკონტროლებს და მათ ჰორმონალური პრეპარატებით საკვების გაჟღენთვის საშუალებას არ აძლევს.

სამხრეთელი მეზობლებისგან განსხვავებით, რომელთაც სპილოსოდენა ძროხები ჰყავთ, კანადაში ეს ცხოველი ჩვეულებრივი ზომისაა. სუპერმარკეტებში საქონლის ხორცს აწერია, რომ კანადაშია დამზადებული. ისე, ახალზელანდიური ციკნის ხორცის შეძენაც შეგიძლიათ. დახლებზე ხშირად მოჰკრავთ თვალს კურდღლისა და ბატის ხორცს. ქათამზე და ინდაურზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამერიკული და კანადური ინდაურები ზომით უფრო სირაქლემას მოგაგონებენ. ინდაურს, ძირითადად, წელიწადში ორჯერ - საშობაოდ და მადლიერების დღესასწაულზე წვავენ ღუმელში. ეს დღე კანადაში ოქტომბერში აღინიშნება

რაც შეეხება თევზეულობას, ალბათ, ლურჯ ყუთებში ჩაწყობილი რუსული ხიზილალის გარდა, აქ ყველაფრის შეძენას მოახერხებთ. ოკეანის ბინადარნი დახლებზე გაყინულები "წვანან", თუმცა, რვაფეხები და კიბორჩხალები ცოცხლადაც "დაბობღავენ" პატარა აკვარიუმებში.

მოსახლეობის ნაწილი მუდმივად ნახევარფაბრიკატებით იკვებება. ასეთი საკვების მომზადება ძალიან მარტივია. მიკროტალღოვანი ღუმელის ღილაკზე თითის დაჭერა ყველას შეუძლია და არც 5-10 წუთში გამზადებული ვახშმის გამოღებაა რთული საქმე. მართალია, გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ ასეთი საჭმელი ძალიან უგემურია და ჯანმრთელობასაც არაფრით რგებს. ბოლო წლებში ძალიან პოპულარული გახდა აზიური სამზარეულო. ამიტომ თითქმის ყველა სუპერმარკეტში წააწყდებით "საერთაშორისო" განყოფილებას, სადაც საინტერესო, აზიური წარმოშობის, გაურკვეველი (არა ყველასთვის, რა თქმა უნდა), ნაწარმი იყიდება. ისე, პოლონური და ბულგარული კონსერვებიც კი შეიძლება აღმოაჩინოთ სადმე, რაც უეჭველად გულს გაუთბობს საქართველოდან ჩამოსულ 30 წელს გადაცილებულ ადამიანს.

ვეგეტარიანელობა ახლა ძალიან მოდაშია. ამის გამო პოპულარული გახდა პარკოსანი მცენარეები, განსაკუთრებით, სოიო. სოიოს რძეც კი არსებობს და არა ერთი სახის: შოკოლადიანი, ვანილიანი, მარწყვიანი და კიდევ იმდენნაირი, ვერ მოთვლით. სოიოს რძეს ისიც ეტანება, ვისაც ძროხის რძის მონელება უჭირს ან გახდომა სურს. საქმე ისაა, რომ სოიო შეიცავს ყველა საჭირო ნივთიერებას, განსაკუთრებით კალციუმს, ხოლო ცხიმიანობა ძალიან დაბალი აქვს.

სუპერმარკეტში შოპინგის დროს ერთ საინტერესო ფაქტსაც აღმოაჩენთ. მწვანილების სექციაში ტარხუნა იყიდება, რომელიც ლამაზადაა პარკში შეფუთული, სულ 56 გრამს იწონის და 4 დოლარი ღირს.

ყურადღების გარეშე არც ტკბილეულობის დატოვება შეიძლება, განსაკუთრებით, ნაყინის. მაცივრების ერთი გრძელი რიგი სავსეა სხვადასხვანაირი ნაყინით. ორლიტრიან კონტეინერებში ჩასხმული გაყინული ტკბილეულობის ფასი ორიდანრვა დოლარამდე მერყეობს. ცალკე იყიდება ვაფლის ჭიქები. ასევე შეიძლება უცხიმო ნაყინის შეძენაც, რაც დიეტაზე მყოფი ადამიანებისთვის თითქოს შვების მომგვრელი უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში ისეთი უგემურია, რომ ერთხელ მონაკბეჩი შეიძლება სამუდამოდ ჩარჩეს თქვენს საყინულეში.

საგულისხმოა, თუ რა რაოდენობით პროდუქტი იყიდება. ძალაუნებურად ჩნდება კითხვა – ერთი კვირის განმავლობაში როგორ ხდება ამდენის მონელება? ალბათ, არც ხდება. უბრალოდ, კანადელები ყოველ ასეთ გასტრონომიულ შოპინგზე სხვადასხვა პროდუქტს ყიდულობენ და რადგან მოსულები არიან, ზედმეტს წაატანენ ხოლმე ხელს.

ძნელი სათქმელია, საშუალოდ რამდენს ხარჯავს კვებაზე ერთი კანადური ოჯახი კვირაში. ეს დამოკიდებულია ქალაქზე, პროვინციასა და თავად ოჯახზეც. საშუალოდ, ალბათ, მაინც 70-90 დოლარს. თუმცა, ბევრია ისეთიც, კვირაში 200 და მეტ დოლარს რომ ხარჯავს საკვებში.

ახლადჩამოსული ქართველები, როგორც წესი,ოდნავ იბნევიან ხოლმე ასეთ მაღაზიაში მოხვედრისას. ამიტომ, ურიგო არ იქნებოდა, პირველად ვინმე გამოცდილის თანხლება. სუპერმარკეტში გათვიცნობიერებული პიროვნება იმას მაინც აგიხსნით, რომელი კარაქის ნაირსახეობა აჯობებს, ან რომელი პური უფროა მიახლოებული მშობლიურ "ბუხანკასთან".

## უკანასკნელი რეპეტიცია არჩევნების წინ

### დღეს სფფ-ს აღმასკომის სხდომას მართავს

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო წინასაარჩევნო ექვსთვიანი მარათონი დასრულდა და ხვალ გაირკვევა, შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში, ვინ უხელმძღვანელებს ქართულ ფეხბურთს. გუშინ კი ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გამართა 4-წლიანი საანგარიშო პერიოდის ბოლო პრესკონფერენცია, რომლის ძირითადი თემაც, რაღა თქმა უნდა, არჩევნები და ყრილობა იყო. თუმცა, ზუსტად ყრილობის წინ სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტი კიდევ ერთხელ შეიკრიბება და, მართალია, სხდომის დღის წესრიგი უცნობია, მაგრამ ზოგიერთი დეტალი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საბოლოოდ დადგინდება ყრილობაში ხმის უფლებით მონაწილე დელეგატთა საბოლოო რაოდენობა და ვინაობა. აღმასკომის დახურული სხდომა ფეხბურთის ფედერაციის ახალ ოფისში, დღეს, 11 საათზე, დაიწყება და, დაახლოებით, 1-1,5 საათს გასტანს. ჟურნალისტები საფეხბურთო ფუნქციონერთა ამ თავყრილობას ვერ დაესწრებიან, თუმცა სხდომის დასრულების შემდეგ, პრესკონფერენცია გაიმართება. ბატონი ჩოლარიას თქმით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რამდენიმე წერილობითი მიმართვა მიიღო ხმის უფლების მინიჭების მოთხოვნით. საუბარია ქალთა ფეხბურთის ფედერაციაზე და ვეტერანთა კავშირზე. "აღმასკომი იმსჯელებს და გადაწყვეტს, დააკმაყოფილოს თუ არა ეს მოთხოვნები. პირადად მე, FIFA-ს დირექტივის შესაბამისად, მხარს არ ვუჭერ ამ საკითხს, რადგან FIFA-დან მოსულ წერილში ნათლად არის განსაზღვრული, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს თებერვალში გამართული აღმასკომის სხდომის გადაწყვეტილებათა შესაბამისად", - განაცხადა გენერალურმა მდივანმა. ამავე სხდომაზე, აღმასკომის წევრებისადმი მიმართვის თხოვნით, ფედერაციამ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, დავით პეტრიაშვილის წერილი მიიღო. სფფ-ის ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა მოთხოვნა და დღეს იგი აღმასკომზე მოხსენებით გამოვა.

სხდომაზე იმსჯელებენ სფფ-ის წესდებაში შესწორებების შეტანის თაობაზე. მოგეხსენებათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ FIFA-დან მიიღო წესდების ნიმუში, რომელიც თითქმის ემთხვევა სფფ-ის ამჟამინდელ წესდებას. არის უმნიშვნელო განსხვავებები, რომელთა შესწორებაც შეიძლება დღეს მოხდეს და წესდება როგორც FIFA-ს, ისე საქართველოს კანონმდებლობათა მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნება.

ბატონი ვალერის თქმით, ყრილობას ჩაშლა არ ემუქრება და უსაფრთხოების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაცვის გამოყოფის მოთხოვნით, შესაბამის ორგანოებს მიმართა. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და ყრილობის მსვლელობას პოლიცია დაიცავს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ყრილობას დაესწრება FIFA-ს ოფიციალური წარმომადგენელი, დოქტორი მეჰმედ სპაჰო. სხვათა შორის, ეს ბატონი და სფფ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია არიან უეფა-ს ბავშვთა და საყმაწვილო ფეხბურთის კომიტეტის წევრები.

ჩოგბურთი

**ლონგ-აილენდი. აშშ. ვაჟები.** ჰარდი. საპრიზო ფონდი 480. 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ტომი ჰაასი (გერმანია). მეორე წრე.

მასუ (ჩილე) – ფედერერი (შვეიცარია, 2) 6:7 (5:7), 6:1, 6:3

სარეტა (ბრაზილია) – შუტლერი (გერმანია, 6) 6:3, 6:2

შრიჩაპხანი (ტაილანდი) – ლაპენტი (ეკვადორი, 8) 7:6 (8:6), 7:5

ნიემინენი (ფინეთი, 11) – კიმი (აშშ) 4:6, 6:3, 6:1

გემბილი (აშშ) – კოუბეკი (ავსტრია, 12) 6:4, 3:6, 6:2

კლემანი (საფრანგეთი, 14) – ვაცეკი (ჩეხეთი) 6:2, 6:3

კალიერი (არგენტინა, 16) – სპეიდი (აშშ) 6:2, 6:3

ფიში (აშშ) – ლაბაძე (საქართველო) 6:4, 6:3

ბიორკმანი (შვედეთი) – შავოლტი (უნგრეთი) 7:6 (9:7) შავოლტმა თამაში შეწყვიტა.

წარმატებული სტარტის შემდეგ, ლონგ-აილენდის ტურნირს, სამწუხაროდ, ჩვენი თანამემამულე ირაკლი ლაბაძე გამოეთიშა. ქართველი ჩოგბურთელი ორ სეტში ამერიკელ ფიშთან დამარცხდა. არადა, თამაშის დებიუტში საგანგაშო თითქოს არაფერი იყო. მეტოქეებმა თავიანთი მოწოდებები აილეს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ლაბაძემ საკუთარი მოწოდება და ამასთან უპირატესობა დათმო, რაც დამარცხებისთვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა.

საერთოდ, მეორე წრის მატჩები განთესილთა "კოშმარად" მიიჩნიეს. ტურნირს ერთბაშად ოთხი ფავორიტი გამოეთიშა. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო მეორე ნომრად განთესილი შვეიცარიელი როჟე ფედერერის მარცხი იყო, ნაკლებად ცნობილი ჩილელის ნიკოლას მასუსგან. რაც შეეხება მეექვსე ნომრად განთესილ გერმანელ შუტლერს, იგი ბრაზილიელ სარეტას ორ სეტში ემსხვერპლა.




ფეხბურთი

# პეტრიაშვილს დასაყრდენი გამოეცალა

პირველი გვერდიდან

### სასამართლომ ვეტერანებს ხმის უფლება აღუდგინა

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ პეტრიაშვილის სასარგებლოდ გამოტანილ განჩინებას ვეტერან ფეხბურთელთა მძაფრი რეაქცია მოჰყვა. რამდენიმე დღის შემდეგ "საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა" ამავე სასამართლოში საჩივარი შეიტანა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული განჩინება უნდა გაუქმებულიყო და ვეტერან ფეხბურთელთათვის ხმათა უფლება უნდა აღედგინათ.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე 2 დღით ადრე, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 26 ივლისის განჩინება ნაწილობრივ გააუქმა და "ვეტერან ფეხბურთელთა კავშირს" ხუთივე ხმა აღუდგინა.

ახალ განჩინებაში ნათქვამია, რომ საქმე დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ გადაიცემა. იმის გამო, რომ არჩევნები 24 აგვისტოს, ანუ ერთი დღის შემდეგ გაიმართება, საქმის დროებით "არ აღსრულება" იმას ნიშნავს, რომ სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებზე ვეტერანები 5 ხმის უფლებით ისარგებლებენ, როგორც ეს სფფ-ს აღმასკომის სხდომამ გადაწყვიტა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების ტექსტი ასე იწყება: "*გასაჩივრებული განჩინებით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 26 ივლისის განჩინება ამავე სასამართლოს 2002 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ. ამ გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის დავით პეტრიაშვილის სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი ფედერაციის აღმასკომის ა.წ. 8 თებერვლის დადგენილების მე-3 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტი, ასევე მე-4 პუნქტის პირველი ქვეპუნქტი, რომლითაც "ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის" ყრილობის დელეგატთა ოდენობა ხუთი წევრით განისაზღვრა, გარდა ამისა, ამავე გადაწყვეტილებით გაბათილდა აღმასკომის წევრებისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის წარმომადგენლობა ყრილობაზე. ამასთან, მოიხსნა შეზღუდვა ყრილობაზე მონაწილეობის პროცესში ბავშვთა სკოლების წარმომადგენლებისათვის*".

ამის შემდეგ, ტექსტში ნათქვამია, რომ "საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის" საჩივარი მართებულია და საქმე დაუყოვნებლივ არ უნდა იქნას აღსრულებული.

განჩინება მთავრდება შემდეგი დადგენილებით: "*დავადგინე: ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 26 ივლისის განჩინება, რომლითაც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა ამავე სასამართლოს 2002 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ გადაეცეს "საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირს", ფედერაციის აღმასკომის წევრებისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ყრილობის დელეგატთა ოდენობის ნაწილში.*

*განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შემოტანა 12 დღის ვადაში.*

*მოსამართლე: თ. საბიაშვილი*"

### პეტრიაშვილმა განჩინების შესახებ მხოლოდ გუშინ შეიტყო

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული განჩინება 4 დღის წინათ, 19 აგვისტოს იქნა გამოტანილი და მხოლოდ გუშინ გახმაურდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სფფ ამ დოკუმენტის არსებობას გამიზნულად არ ახმაურებდა, რათა დაპირისპირებულ მხარეთა შორის ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო არ გამწვავებულიყო.

პეტრიაშვილმა სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შესახებ მართლაც არაფერი იცოდა, ეს მან მხოლოდ გუშინ შეიტყო.

სფფ-ს ერთ-ერთი წარმომადგენლმა გვაცნობა, რომ როდესაც პეტრიაშვილმა განჩინების შესახებ შეიტყო, ის და მისი სამი ადვოკატი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მივიდნენ, სადაც საკმაოდ მწვავე შეხლა-შემოხლა გამართულა.

### ვაჟა ჩხაიძემ კანდიდატურა მოხსნა

გუშინვე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა, ვაჟა ჩხაიძემ თავისი კანდიდატურა მოხსნა. ამის შესახებ მან გუშინ, წერილობითი განცხადებით აცნობა ფედერაციას.

სფფ-ს წარმომადგენელთათვის ვაჟა ჩხაიძის ეს ნაბიჯი მისი და პეტრიაშვილის შესაძლო ალიანსის კიდევ ერთი დადასტურებაა. ფედერაციის ზოგიერთი თანამშრომელი თავიდანვე მიიჩნევდა, რომ ჩხაიძე და პეტრიაშვილი "შეკრულები" არიან.

# სკოლარი ნაკრებიდან დამარცხებული მიდის

### "ნეტავ, ჩვენს ბიჭებს მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე შეუძლიათ თამაში?"

აკა ტონია

"ნაკრებში ჩემი მოღვაწეობა წაგებით დაიწყო და წაგებითვე დასრულდა, მაგრამ ამ დამარცხებებს "პენტა" დაგვავიწყებს", - ასეთი კომენტარი გაუკეთა ბრაზილიის ნაკრების აწ უკვე ყოფილმა მწვრთნელმა, ლუის ფელიპე სკოლარიმ თავისი გუნდის პარაგვაის ნაკრების წინააღმდეგ დამარცხებას (0:1). ნაკრების სათავეში მოსვლისთანავე, "დიდი ფილი" ურუგვაის წინააღმდეგ მატჩში დამარცხდა (0:1). სკოლარი თავის ნათქვამში, სწორედ, ამ შეხვედრას გულისხმობდა.

21 აგვისტოს, ქალაქ ფორტალეზაში "სელესაომ" პარაგვაელებს უმასპინძლა. ეს იყო მსოფლიოს ჩემპიონების პირველი მატჩი მუნდიალზე ტრიუმფის შემდეგ.

ბრაზილიელთათვის ეს შეხვედრა ზეიმს უფრო ჰგავდა, ვიდრე ტესტმატჩისას.

შეხვედრის დაწყებამდე "პენტა კამპეონებმა", სტადიონზე შეკრებილ 50,000 გულშემატკივარს მსოფლიო თასი წარმოუდგინეს და ისე ზეიმობდნენ, როგორც 52 დღის წინათ, როდესაც ჩემპიონის ტიტულს დაეუფლნენ.



პარაგვაელთა ბლოკი REUTERS

ბრაზილიური ტორსიდის ზეიმს, მატჩის 29-ე წუთზე, პარაგვაელმა ნელსონ კუევასმა შორი დარტყმით დაუსვა წერტილი. "თუ ზეიმი უნდოდათ, მატჩისათვის უფრო სუსტი მეტოქე უნდა შეერჩიათ", - განაცხადა პარაგვაელთა მცველმა, სელსო აიალამ.

პარაგვაელებს ამ მატჩში წამყვანი მოთამაშეები სანტა კრუზი, ჩილავერტი, გამარა და არსე აკლდათ, მიუხედავად ამისა, მათ უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს. ბრაზილიელებს კი მხოლოდ სამი მსოფლიო ჩემპიონი აკლდათ: ლუსიო, ჟუნინიო და როკე ჟუნიორი. თავდამსხმელთა დუეტი რონალდო-რივალდო იმდენად უსუსურად გამოიყურებოდა, რომ ბრაზილიელებს თითქმის არც ერთი სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ მეტოქის კართან.

"ჩვენ კარგად "გამოვძვერით", რადგან შეიძლებოდა ბევრად დიდი ანგარიშით წაგვეგო", - განაცხადა ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა წევრმა კასაგრანდემ, რომელიც იმ დღეს ტელეკომპანია "Globo"-ს ეთერით მატჩის კომენტატორი გახლდათ. ახალი ამბების წამყვანმა ანა პედრაომ კი ასეთი კითხვა დასვა: "ნეტავ, ჩვენს ბიჭებს მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე შეუძლიათ თამაში?"

ბრაზილიის ნაკრები, შესაძლოა, ბევრად უფრო უსიამოვნო ფაქტის წინაშე დადგეს, ვიდრე ეს დამარცხებაა: რივალდომ განაცხადა, რომ შესაძლოა, თავისი სანაკრებო კარიერა დაასრულოს. ფეხბურთელის თქმით, ეს მომავალ მწვრთნელზე იქნება დამოკიდებული. თუ ბრაზილიის ნაკრების ახალი თავკაცი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე გამგზავრებას რივალდოს გარეშე დაგეგმავს, ფეხბურთელი დღესვე მიატოვებს ნაკრებს.

ამის გასარკვევად, ალბათ, რივალდოს კიდევ დიდხანს მოუწევს ლოდინი, რადგან ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია, ახალი წლის დადგომამდე, ნაკრების ახალი მწვრთნელის დანიშვნას არ გეგმავს.

რაგბი

# ქუთაისელი "მამელუქი" ბორჯღალოსანთა წინააღმდეგ

პაატა თოთაძე

ჩვენი გაჭირვებული ყოფის გამო, დღეს არაერთი ქართველი სპორტსმენი იღწვის სხვა ქვეყანაში და იცავს მის ღირსებას. მათ რიცხვს კიდევ ერთი შეემატა. საქართველო-რუსეთის დაპირისპირებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ გუნდები ამ შეხვედრას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ქართველები საფრანგეთში არიან და იქ ემზადებიან. რუსები კი, ლეგიონერებს თუ არ ჩავთვლით, სამშობლოში გადიან წვრთნას.

გუშინ რუსთა მწვრთნელმა, ალექსანდრ პერვუხინმა ის მორაგბეები დაასახელა, რომელთაგანაც 22 რჩეული საქართველოს ნაკრებს დაუპირისპირდება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამსვლელ მატჩში. ალექსანდრე მარგველაშვილი ერთ-ერთია იმ სამი პენზელი მორაგბიდან, რომლებმაც შესაძლოა, ითამაშონ 13 ოქტომბერს, საქართველოს წინააღმდეგ. მარგველაშვილი ქუთაისური სარაგბო სკოლის აღზრდილია, ის დიდი ხანია, რუსეთის ჩემპიონატში ბურთაობს. 2000 წელს, რუსეთის პირველობის დასრულების შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა და ბათუმის "დათვების" ღირსება დაიცვა, თუმცა, მხოლოდ ერთ მატჩში.



მარგველაშვილი (მარცხნივ) თანაგუნდელებთან ერთად

როგორც მოსალოდნელი იყო, ნაკრებში ყველაზე მეტი წარმომადგენელი(13) ქვეყნის ჩემპიონს "კრასნი იარს" ჰყავს. ათი "ენისეი-სტმ"-ს, 9 მორაგბე მოხვდა "ვვა-პოდმოსკოვიე"-დან. "პენზა" სამი მორაგბითაა წარმოდგენილი, "ფილი", ერთით. რა თქმა უნდა, სიაში არიან რუსთა ლეგიონერები, მონტობანელები გრაჩოვი, რაჩკოვი, სერგეევი და ბორდოელი უამბაევი. ნაკრების ხელმძღვანელობა ყველაზე დიდ იმედს სწორედ მათზე ამყარებს.

ამასობაში ირლანდიის ნაკრებს კიდევ ერთი მობურთალი გამოაკლდა. შეინ ჰორგანმა ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლი იტკინა და ექიმთა ვარაუდით, სულ მცირე სამი კვირით მოუწევს დასვენება. ეს უკვე მესამე მორაგბეა, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ტრავმის გამო რომ გამოაკლდა ირლანდიის ნაკრებს. თუმცა, არა გვგონია, ამ გარემოებამ კელტებს რუსების ან ქართველების დამარცხებაში ხელი შეუშალოს.

წყალბურთი

# მსოფლიო თასში წყალი ლივლივებს

გიგა გურასაშვილი

მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთმა ფავორიტმა რუსეთის ნაკრებმა მასპინძელ იუგოსლავიასთან წააგო 6-10. წყალბურთის გულშემატკივრებმა ძალზე საინტერესო მატჩი იხილეს. რუსთა დამარცხებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ალექსანდრე საპიჩს, რომელმაც რუსეთის კარში ხუთი ბურთი შეაგდო.

"ძალზე მნიშვნელოვანია ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება, თუმცა, ჯერ უნგრეთის დამარცხებაა საჭირო", - განაცხადა საპიჩმა.

"ჩვენგან განსხვავებით, იუგოსლავიამ სრულად წარმოაჩინა საკუთარი სიძლიერე. სამწუხაროდ, მათ ბრწყინვალე თამაშს ვერაფერი დავუპირისპირეთ", - უკმაყოფილოა თავისი გუნდის თამაშით რევაზ ჩომახიძე.

რაც შეეხება A ჯგუფის სხვა თამაშებს, უნგრეთი, როგორც მოსალოდნელი იყო, აშშ-ის გაახალგაზრდავებულ ნაკრებს იოლად გაუსწორდა – 9:5. ახლა, მადიარები და რუსები ქვეჯგუფში ორ-ორი ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ. აშშ-ის ნაკრები კი ქვეჯგუფის ფსკერზეა მოკალათებული და, ალბათ, იქვე დარჩება.



უნგრეთი - აშშ REUTERS

B ჯგუფში პირველი გამარჯვება იზეიმა ესპანეთმა. ესპანელ "მატადორებს" ახალგაზრდული და გამოუცდელი ხორვატების დამარცხება არ გასჭირვებიათ (7:4). მათ შეტევის 50 პროცენტი გოლით დაასრულეს. ხორვატებმა შვიდი შესაძლებლობიდან მხოლოდ ორჯერ შეძლეს მეტოქის კარის აღება.

"მიუხედავად ხორვატთა სიძლიერისა, ჩვენ მაინც გვჯეროდა, რომ გავიმარჯვებდით. ბერძნებთან ცუდი თამაშის შემდეგ, ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ უკეთესი შთაბეჭდილება დაგვეტოვებინა. გამარჯვება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან, თუ იტალიასაც მოვუგებთ, მაშინ ქვეჯგუფში პირველ ადგილზე აღმოვჩნდებით. ჩვენი მიზანი მსოფლიო თასის საუკეთესო ოთხეულში გასვლაა. იუგოსლავია ფავორიტად მიმაჩნია, რომლის შინაურ კედლებში დამარცხება ნებისმიერი გუნდისთვის ურთულესი იქნება", - ამბობს ესპანელთა თავდამსხმელი ივან პერესი.

ბერძნები, ისევე როგორც ეს ესპანელებთან მატჩში იყო, აპენინელებსაც მშვიდობიანად გაეცალნენ – 6:6.

### კახეთი - იონი 2002

საფრანგეთში დაგეგმილ კახეთის კულტურის დღეებთან დაკავშირებით, აგვისტოში კახეთს ფრანგი მხატვრები ესტუმრნენ. კულტურის დღეები იონის დეპარტამენტში 23 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე გაიმართება.

კახეთში ფრანგმა მხატვრებმა თელავის თეატრში გამოფენილი 150-მდე ნამუშევარი შეარჩიეს. ფრანგი სტუმრები იმედოვნებენ, რომ ასეთი ღონისძიებები მომავალშიც მრავლად იქნება. ღონისძიება საფრანგეთის ქალაქებში - ოსერსა და სანშია დაგეგმილი. აქ წარმოდგენილი იქნება კახეთის მხატვართა ნამუშევრები, მოცეკვავეთა ანსამბლი, მომღერალთა გუნდი, ქართველი მზარეულები კი საფრანგეთის მცხოვრებლებს ქართულ სამზარეულოს გააცნობენ.

საერთოდ, დიდი ყურადღება ექცევა ფრანკოფონიის განვითარებას კახეთში, მათ მიერ ჩამოტანილ იქნა კომპიუტერები და ფრანგული ენის სახელმძღვანელოები. მაისში ახალი აპარატურით აღიჭურვა თელავის თეატრი. ორივე მხარე ზრუნავს იმაზე, რომ ეს თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდეს.

*ნინო ბერეკაშვილი*

### პანტომიმის ქართული თეატრი ჰოლანდიაში მიემგზავრება

პანტომიმის ქართული თეატრი ჰოლანდიაში ერთთვიან გასტროლებს გამართავს.

თეატრის დირექტორის ამირან შალიკაშვილის თქმით, 1989 წლის შემდეგ თეატრი უცხოეთში არ გასულა. 4 სექტემბერს თბილისს, პანტომიმის თეატრის სპექტაკლებზე დასასწრებად, იმპრესარიო იან პეპინის ხელმძღვანელობით ჰოლანდიის დელეგაცია ეწვევა, რის შემდეგაც ჰოლანდიაში დაგეგმილი გასტროლების ჰოლანდიური მხარის მიერ დაფინანსების საკითხი გადაწყდება. გასტროლები ჰოლანდიაში, სავარაუდოდ, ოქტომბერში დაიწყება.

გასტროლებზე თეატრის მთელი დასი გაემგზავრება და ჰოლანდიელ მაყურებელს 5 სპექტაკლს – "კრიმანჭული", "კიდევაც დაიზრდებიან", "დუმილის პოეზია", "სტუმარ-მასპინძელი" და "კონტრასტები" წარუდგენს. ჰოლანდიაში პანტომიმის ქართული თეატრის გასტროლების გამართვის ინიციატივა საქართველოში ჰოლანდიის ელჩს ეკუთვნის.

### საქართველოს სიმფონიური ორკესტრი ამსტერდამში მიიწვიეს

საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, რომელიც ჰოლანდიაში საერთაშორისო ფესტივალზე იყო მიწვეული, დიდი მოწონება დაიმსახურა და რამდენიმე საინტერესო წინადადება მიიღო.

ფესტივალის ფარგლებში ორკესტრი ამსტერდამის "კონსერტ დებაუს" დარბაზში კონცერტებს ორი დღის განმავლობაში მართავდა. წარმოდგენილი იყო ალექსანდრე მაჭავარიანის "ვეფხისტყაოსნის" სუიტა და "ოტელო", რახმანინოვის "რაფსოდია პაგანინის თემაზე" და სიმფონიური ცეკვები. ორკესტრმა ჰოლანდიელი შემსრულებლის დიდი მოწონება და პრესაში ფართო გამოხმაურება დაიმსახურა.

ამჟამად ორკესტრის ხელმძღვანელობასა და ფესტივალის ორგანიზატორებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში ჰოლანდიური მხარე ქართულ ორკესტრს კონცერტების გასამართად ამსტერდამში კვლავ მიიწვევს.

### დრეზდენში წყალდიდობისგან დაზიანებული პირველი მუზეუმი გახსნეს

"ალბერტინიუმი" დრეზდენის პირველი სამხატვრო მუზეუმია, რომელმაც წყალდიდობის შემდეგ ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა მუშაობა.

წყალდიდობის დროს სკულპტურული კოლექციის 11 ათასი ნიმუში, “ახალი ოსტატების გალერეის” 650 სურათთან ერთად ზედა სართულებზე აიტანეს. საშიშროების წინაშეა ხუთი უზარმაზარი ტილო, რომლებიც დღემდე მუზეუმის სარდაფებში ინახება, რადგანაც ისინი ძალიან მძიმეებია და უსაფრთხო ადგილას ვერ გადაიტანეს. "ალბერტინიუმი" ისე არ დაზიანებულა, როგორც დრეზდენის სხვა მუზეუმები. მაგალითად, "ცვინგერის" მუზეუმის სარდაფები მთლიანად წყალში აღმოჩნდა. 1580 წელს აშენებული ნაგებობა მტკიცე საძირკვლის წყალობით გადარჩა. ამჟამად მუზეუმის თანამშრომლები შენობაში კლიმატური პირობების მოსაწესრიგებლად ტექნიკურ მოწყობილობას ცვლიან.

### ვენეციაში სოფი ლორენს დააჯილდოებენ

პრესტიჟულ პრემიას “პიეტრო ბიანკის” ცნობილ მსახიობს, სოფი ლორენს მიანიჭებენ. ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონია აგვისტოს ბოლოს, ვენეციაში, კინემატოგრაფიული ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე გაიმართება. ლორენი ფესტივალზე წარსდგება ფილმით, “უცხოთა შორის”, სადაც მასთან ერთად ჟერარ დეპარდიეც მონაწილეობს; ფილმის რეჟისორი კი, ლორენის შვილი, ედუარდო პონტია.



# ადამიანები, რომლებიც „ოქროს ლომს" გასცემენ

ვენეციის კინოფესტივალის ჟიურის, რომელსაც ჩინელი მსახიობი გონგ ლი ხელმძღვანელობს, კიდევ რამდენიმე ახალი სახე შეემატა: უნგრელი კინოოპერატორი ლასლო კოვაჩი, რუსი პოეტი ევგენი ევტუშენკო და მსახიობი ფრანჩესკა ნერი (ფილმი "ჰანიბალი"). როგორც ცნობილია, ფესტივალის შვიდკაციანი ჟიური გადაწყვეტს, თუ რომელი ფილმი აღიაროს საუკეთესოდ და პრესტიჟული "ოქროს ლომითაც" დააჯილდოვოს. მსოფლიო კინემატოგრაფისთვის ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება 29 აგვისტოს დაიწყება და 8 სექტემბრამდე გასტანს. ჟიურის შემადგენლობაში ასევე შედიან ფრანგი რეჟისორი ჟაკ ოდია, პროდიუსერი ულრიხ ფელსბერგი და თურქი რეჟისორი იესიმ უსტაოგლუ.

თუმცა, როგორც ყველა აღიარებს, ვენეციის წლევანდელ ჟიურის ელიტურობას, მაინც კოვაჩისა და ევტუშენკოს გამოჩენა მატებს. უნგრელმა ხელოვანმა ხომ მაღალი რეპუტაცია ამერიკელი რეჟისორების ნაღებ საზოგადოებასთან თანამშრომლობით მოიპოვა. მათ შორის გახლავთ მარტინ სკორსეზე და პიტერ ბოგდანოვიჩიც. პირველ წარმატებას კი კოვაჩმა დენის ჰოპერის კლასიკად ქცეული ფილმის Easy Rider-ის ოპერატორობით მიაღწია.

ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარის ვინაობა ორგანიზატორებმა ჯერ კიდევ წინა თვეში გამოაცხადეს. თუმცა, ჟიურის წევრები მხოლოდ ამ კვირაში დაასახელეს.

წლევანდელ ფესტივალზე საკონკურსო პროგრამით რამდენიმე ბრიტანული ფილმი იქნება წარდგენილი, მათ შორის, სემ მენდესის თრილერიც Road to Perdition. სტეფან დალდრის The Hours კი, ნიკოლ კიდმანის მონაწილეობით, კონკურსიდან მოხსნეს - ფილმის საკონკურსოდ მომზადება ვერ მოხერხდა.

ფესტივალს ფილმი Frida გახსნის, სალმა ჰეიეკის მონაწილეობით, რომელიც მექსიკელი სიურეალისტი მხატვრის, ფრიდა კალიოს როლს შეასრულებს. წელს საზოგადოებას კიდევ ერთი სიურპრიზი ელის – 20-წლიანი ინტერვალის შემდეგ ფესტივალზე გამოჩნდება სოფი ლორენიც – ვაჟის, რეჟისორ ედუარდო პონტის ფილმში Between Strangers.



სოფი ლორენი
REUTERS

# პირველად თეთრი სახლის ისტორიაში...

ხმები იმის შესახებ, რომ ექსპრეზიდენტი კლინტონი ტელეჟურნალისტიკაში ცდიდა ბედს, რამდენიმე თვის წინ დაირხა. ამ დროისთვის ოფიციალური მხარეები ინფორმაციის გაცემას კვლავაც ერიდებიან. თუმცა, "როიტერის" ცნობით, ტელეკომპანია CBS-სა და კლინტონის წარმომადგენლებს შორის აქტიური მოლაპარაკებები კვლავაც მიმდინარეობს. განიხილება სინდიკატირებული თოქ-შოუს შექმნის საკითხი, რომელსაც აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი წაიყვანს.

CBS-ი კლინტონით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც რამდენიმე ხნის წინ ექს-პრეზიდენტსა და NBC-ის შორის მოლაპარაკებები ჩიხში მოექცა. თუმცა, "როიტერის" ცნობით, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია. კლინტონი კვლავაც შემოთავაზებებს განიხილავს. ანუ, ტელეკომპანიები მის გადასაბირებლად წინადადებებს აყენებენ, ექსპრეზიდენტი კი ყველას მშვიდად უსმენს, დუმს და არჩევანის გაკეთებას არ ჩქარობს.

CBS-ი მას ყოველდღიური შოუს შექმნას სთავაზობს, რომელიც ტელეკომპანიის კუთვნილი ტელესადგურებით გადაიცემა და სინდიკატების უმსხვილესი კომპანია King World Productions Inc-ის საშუალებით გაიყიდება. აღსანიშნავია, რომ იგივე კომპანია აგებს პასუხს ოფრა უინფრის შოუს დისტრიბუციაზეც.



ბილ კლინტონი
REUTERS

რაც შეეხება ხელფასს, საუბარია თოქ-შოუს დამწყები წამყვანისთვის მართლაც ასტრონომიული თანხაზე – წელიწადში 30-50 მილიონი დოლარის ოდენობით. თუმცა, ამ ცნობას კლინტონის წარმომადგენლები უარყოფენ. მისი ადვოკატი, რობერტ ბარნეტი აცხადებს: "პრეზიდენტმა მართლაც უამრავი წინადადება მიიღო, ტელევიზიიდან, რადიოდან, ინტერნეტიდან და ბეჭდური მედიიდან. ჯერჯერობით მედია-კონტრაქტების გაფორმებას არ ვაპირებთ. როცა დრო მოვა, საჭირო განცხადებასაც მაშინ გავაკეთებთ".

საინტერესოა, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რა სახის შოუს გააკეთებს ყოფილი პრეზიდენტი. ცხადია, ყოველდღიური თოქ-შოუ გასართობი უნდა იყოს და დიდი აუდიტორიის მიზიდვაც უნდა შეძლოს. თუმცა, "როიტერის" წყაროს თქმით: "კლინტონს კარგად ესმის ისიც, რომ შოუმ მისი პრეზიდენტული წარსული არ უნდა შეურაცხყოს. ამიტომ ის აპირებს, ერთმანეთს შეუთავსოს მუსიკა და სერიოზული პრობლემები. ხანდახან კი გადაცემაში მუსიკოსებსაც მიიწვევს და აუდიტორიას ცოცხალი მუსიკით გაართობს".


## უმაღლესი განათლება
## დიდ ბრიტანეთში

**თუ ხართ დაინტერესებული ბრიტანულ უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მიღებით**

შედარებით დაბალ ფასებში

**დაგვიკავშირდით:**

- (899)-175381 26 აგვისტომდე
- ან პირდაპირ უნივერსიტეტში
29 აგვისტოს შემდეგ
+441978293404

- ელ. ფოსტა: n.purcell@new.ac.uk

ორივე შემთხვევაში იკითხეთ ნელი პირსელი
www.newi.ac.uk



## წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

**თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,**

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

**"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.**

**"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.**

**წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.**

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.**


# TV პროგრამა 23 აგვისტო

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 "ჯუნგლების წიგნი"
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 ცხოველთა ომები
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 "ლუისი და კლარკი"
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ცხოველთა ომები
18.55 კუსტოს წყალქვეშა ოდისეა
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 სერიალი "პოლტერგეისტი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან" მთ.როლებში მერლინ მონრო, ჯეკ ლემონი
02.10 მხ.ფ. "წითელი ვიოლინო" მთ. როლებში კარლო ძეკი, ირენე გრაციოლი

## პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე
08.10 "წყვილები და დუეტები"
08.35 სერიალი "მარკო პოლო"
09.20 მულტფილმი "შავი მეკობრე"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.40, 19.00 ვიდეოპატრული
12.50 მხ. ფილმი "ამაზონიის ჯუნგლები"
14.15 ცირკი
15.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. კორეა - თურქეთი (განმეორებითი ჩვენება)
17.15 50-50 18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 ჯანმრთელობა
19.40 ბასტი-ბუბუ
21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 "თბილისის დროით"
22.05 დოკ. ფილმი "ბეწვის ხიდზე"
22.55 თბილისური ამბები
23.20 სატ. სპექტაკლი "ჩემი სახელი საიდან იცი"
00.10 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.30 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.50 სერიალი "მარკო პოლო"

## მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "გაქცევა ნიუ-იორკიდან"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 აფხაზეთის ტელევიზია
22.40 მხ. ფილმი "დაბრუნება კოსმოსიდან"

## ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "ვესტი"
10.15, 21.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 22.40 პროგრამა "მსოფლიო სპორტი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
18.30 სერიალი "გოშა" მე-3 სერია
20.00 გადაცემა "ხვალ - საქართველოს პოლიტიკური ანატომია"
21.40 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება
23.40 ძველი კინოკლასიკა. მხატვრული ფილმი "სასაცილო გოგონა"

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "არტური"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.20 მხ.ფ. "ორმაგი მკვლელობა"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "ამორძალები და გლადიატორები"
22.30 მხ.ფ. "ჭკუას ვკარგავ აირისზე"
00.30 ღამის ფილმი

## პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
13.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
14.00 მხ. ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "ლეგენდა"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 რუსული ათეული
21.45 მოკლე სეანსი
22.00 ჩაძირობანა
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "27 დაკარგული კოცნა".
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "ენიგმა"
03.10 ნონ-სტოპი

## კავკასია

12.00 მხ.ფ. "ფორესტ გამპი"
14.45 მხ.ფ. "კლდე"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "პატარა მოცურავე"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "მარსის მოჩვენებები"
22.10 მხ. ფილმი "ამორძალები და გლადიატორები"

## მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადი" 33-ე სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 33-ე სერია
10.15, 12.30, 14.25, 17.20, 18.45, 20.20, 21.10, 21.40, 00.20 მუსიკა
10.30 მხ. ფილმი "დიდი ლებოვსკი"
12.45 მხ. ფილმი "ბიჭუნა"
14.45, 19.00 დისკავერი
15.40 მხ. ფილმი "ჰომერი და ედი"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" 34-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 34-ე სერია

19.30 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
20.00 ლიმონი და ლიმონათი
21.20 მულტფილმი "კეთილი ჯადოქარი ოზიდან"
22.00 მხ.ფ. "გულის მუსიკა" მთ. როლებში მერილ სტრიპი, გლორია ესტეფანი
00.40 მხ. ფილმი "ჯვაროსნები". მთ. როლში ალექსანდრო გასმანი

## აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ვინ შეკაზმავს ცხენს"
10.45, 19.30 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "ციხეში მინდა"
13.45 დრამა "დღის მიწურულს"
16.15 მულტფილმი
17.10 თრილერი "შეთქმულება ამერიკის წინააღმდეგ"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
20.30 ქართული მხატვრული ფილმი "თვალი პატიოსანი"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 "პრესდაიჯესტი"
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.15 "ექსკლუზივი"
01.05 თრილერი "ზღვის ლომების ჯგუფი"
03.30 მელოდრამა "პროვინციული რომანი"

## VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 "აჩიკუდა"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.45 მოკლედ... სპორტი
10.50 მუსიკალური ბიორითმი
11.15 მულტსერიალი
11.30 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
11.35 "სახლიდან გაუსვლელად"
12.05 მუსიკალური ტაიმაუტი
12.25 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.45 დისნეი და მისი მეგობრები
13.05 "სახლიდან გაუსვლელად"
13.45 სპორტი
13.50 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი (წლის საუკეთესო გადაცემა)
20.30 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
20.35 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.55 "სახლიდან გაუსვლელად"
21.25 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.45 მოკლედ...სპორტი
22.00 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.10 "სახლიდან გაუსვლელად"
22.30 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "გლორია" ა.შ.შ.
2000 წელი. მაფია. რეჟისორი - სიდნი ლიუმეტი.
00.15 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.10 მუსიკალური ბიორითმი
01.40 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "გზაჯვარედინი".
03.15 პრესის მიმოხილვა

## ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 "Знатоки" "ОТВЕТНЫЙ УДАР". Дело №10
12.50, 16.40 "Ералаш"
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.15 "Народ против". Телеигра.
15.00 "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ"
16.15 "Дикие штучки"
17.00 "ГРАФИНЯ ШЕРЕМЕТЕВА"
17.55 "САМОЗВАНЦЫ"
20.15 Человек и закон
20.50 Поле чудес.
22.00 Время.
22.35 Михаил Задорнов
00.10 х.ф. "ПОЛИЦЕЙСКАЯ АКАДЕМИЯ - 3"
01.50 х.ф. "ЛОВУШКА"

## РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 14.20 Афиша
07.40 Дорожный патруль
08.10, 09.40, 14.10 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
09.15 Мусульмане
09.30 Вести дежурная часть
10.10 Сам себе режисер
11.00 Моя семья
12.20 "КАМЕНСКАЯ" Фильм 6-й "НЕ МЕЩАЙТЕ ПАЛАЧУ"
13.25 "Что хочет женщина"
14.30 Док. фильм "Архивные тайны"
15.25 "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. УБИЙСТВО В МЕСОПОТАМИИ"
17.20 "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ"
18.20 "ЖАРА В ЛОС-АНДЖЕЛЕСЕ"
19.50 х.ф."ВОРОВКА"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Лучшие матчи чемпионата мира по футболу 2002 г. Сборная Англии- Сборная Бразилии.
23.55 Х.ф. "АМЕРИКЭЙ БОЙ"
02.15 Х.ф. "НИКОГДА НЕ ГАЗГОВАРИВАЙ С НЕЗНАКОМЦАМИ"
03.40 "ТВИН-ПИКС"

## НТВ

07.35, 08.35, 13.20, 19.40 Криминал.
09.50 Остросюжетный фильм "ПОЛИЦЕЙСКИЕ: КОНЕЦ ИГРЫ"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня.
11.25 Служба спосения
12.15 Вкусные истории
12.50 "ДВОЙНОЙ ОБГОН"
15.05 Ток-шоу "Принцип домино".
16.15 "Пепси-чарт".
17.20, 21.45 Детективный сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ".
18.40 "Внимание: розыск!"
19.40 Криминал.
20.40, 01.10 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ".
23.35 Многосерийный детектив "ПЕЙЗАЖ С УБИЙСТВОМ".
00.40 "Все сразу!" Ночные развлечения.
02.10 фильм "МУМУ"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში